ალია
N114/30404 25-28 ივლისი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

რაში მოსთხოვა ეროსი კიწმარიშვილმა თემურ შაშიაშვილს **600 000?**



# რა პეტიცია გაუგზავნეს პრემიერ ღარიბაშვილს

**პასუხს 26 ივლისს ვასაძის ორგანიზებულ ხალხმრავალ აქციაზე ელოდებიან**



## „არასწორია პარლამენტარის ხელფასი იყოს 3 000 ლარი, როცა მოსამართლეს აქვს 5 000



ზაქარია ქუცნაშვილი და დავით ონოფრიშვილი „ალიას“ უხსნიან, რატომ ეცოტავებათ ხელფასი

## „კორუფციული გარიგება პარტიებს შორის



რას პასუხობენ ბრალდებებზე „ალიას“ „ქდმ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატები“

შალვა ხაჭაპურიძე:

**„უცხოელი პროკურორების მუშაობის შედეგი იქნება ის, რომ პროკურატურა გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან“**



## „ეს არანორმალური ფსიქიატრიულშია წასაყვანი“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა ხმაურით წარიმართა. საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდა. ეკა ბესელიასა და ჩიორა თაქთაქიშვილს შორის კამათი სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებს მოჰყვა, რომელიც ეხება სასჯელაღსრულების ერთი დაწესებულებიდან მეორეში პატიმრის გადაყვანას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გადაყვანის დროს პატიმარს უნდა განემარტოს, რისთვის უცვლიან საპატიმროს:

ეკა ბესელია: ქალბატონო ჩიორა, თქვენ იყავით თანამონაწილე იმ უბედურების, როდესაც ადამიანებს ფეხქვეშ თელავდნენ...

ჩიორა თაქთაქიშვილი: დაასრულეთ ქალბატონო ეკა, ისტერიკული გამოსვლა!

ეკა ბესელია: არ გრცხვენიათ მაინც, ამ კომიტეტში რომ იჯექით?

ჩიორა თაქთაქიშვილი: მე არ ვიჯექი ამ კომიტეტში, გადაამოწმეთ ინფორმაცია... 9 წლის განმავლობაში ქვეყანა ავაშენეთ, ჯარი, პოლიცია...

ეკა ბესელია: თქვენ შექმენით პოლიცია, რომელიც ხალხს ქუჩაში კლავდა, მკვლელების თანამოაზრე ხართ...

ჩიორა თაქთაქიშვილი: სწორედ თქვენი რეჟიმის ამოცანაა კრიმინალების დაცვა!

ეკა ბესელია: კრიმინალები თქვენი გუნდის წევრები არიან. კრიმინალური ბანდის თანამოაზრე იყავით, ადამიანებს აწამებდით და აუპატიურებდით და ტაშს უკრავდით იმ მინისტრს, რომელიც ადამიანებს აწამებდა და აუპატიურებდა...

ჩიორა თაქთაქიშვილი: ყოველთვის ფეხზე ავუდგები ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას მიერ გაკეთებულ საქმეებს!

ეკა ბესელია: ეგ არის თქვენი სახე და სტანდარტი ადამიანის უფლებების დაცვის, ქალბატონო ჩიორა!

ჩიორა თაქთაქიშვილი: თქვენ ბრძანდებით კრიმინალების ადვოკატი!

ეკა ბესელია: თავად წარმოადგენთ კრიმინალურ ბანდას, მთელი „ნაციონალური მოძრაობა“, დიახ, ხართ კრიმინალური ბანდა! რომელ სახალხო დამცველზე საუბრობთ, 7 ნოემბერს რომ სცემეთ ქუჩაში? ესაა თქვენი სტანდარტი!

თაქთაქიშვილი პროტესტის ნიშნად დარბაზის გასასვლელისკენ წავიდა და როდესაც ეკა ბესელიას ჩაუარა, ღილაკზე თითი დააჭირა და მიკროფონი გამოურთო.

– არანორმალურია ეს ქალბატონი, ფსიქიატრიულშია წასაყვანი! – მიადევნა ბესელიამ. (რეპორტიორი)

## „განმარტოს ანი ნადარეიშვილმა, რა მიზეზებით მფარველობდა მისი ოჯახი ანდრეი სმაგას“



თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ბაზების უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ტრისტან წითელაშვილმა, რუსეთის რეზიდენტ ანდრეი სმაგასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, ანდრეი სმაგა შს სამინისტრომ ნადარეიშვილების ოჯახში ალმოაჩინა.

„ანდრეი სმაგა, რუსეთის ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენელია. ის, 2009 წლის შემდეგ ქვეყანაში, არა დიპლომატიურ, არამედ სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდა“, – აღნიშნა წითელაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ანდრეი სმაგა, სხვა აგენტებსაც მფარველობდა.

„ანდრეი სმაგას ხვდებოდნენ ბაჩო ახალაია და მისი მეუღლე – ანი ნადარეიშვილი. ასევე, მასთან ურთიერთობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალი თანამდებობის პირები. მათ შორის, გივი თარგამაძე და გიორგი ბარამიძე“, – განაცხადა წითელაშვილმა.

წითელაშვილი სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს:

„ამ საკითხს სიღრმეში ჩასწვდით, რადგან სმაგა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელია და საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ აწარმოებს სადაზვერვო საქმიანობას, როცა საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს.

ასევე, ანი ნადარეიშვილმა აუცილებლად უნდა განმარტოს, რა მიზეზებით მფარველობდა ანდრეი სმაგას მისი ოჯახი და ვინ მიიყვანა მის ოჯახში ეს ადამიანი. ჩემთვის ცნობილია, რომ სმაგა, საკმაოდ მაღალ თანხას იხდიდა ბინის ქირაში, რომლითაც ნადარეიშვილების ოჯახი ფინანსდებოდა. ეს ფინანსები კი პირდაპირ პუტინის ჯიბიდან მოდიოდა“, – განაცხადა წითელაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ანდრეი სმაგა, ნადარეიშვილების ოჯახში, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის დახმარებით მოხვდა.

„ამ ფაქტის თაობაზე, სააკაშვილი საქმის კურსში იყო“, – დასძინა წითელაშვილმა. (რეპორტიორი)

## პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა




საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გუშინ სამშობლოში დაბრუნდა და ყოვლადწმინდა სამების ტაძარში შეკრებილ მრევლს მიმართა, რომელიც პატრიარქს გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ტაძარში დახვდა.

პატრიარქმა ტაძარი მოილოცა, შეკრებილები დალოცა და მრევლს მცირე ქადაგებით მიმართა.

„ძალიან მომენატრა საქართველო და ძალიან მომენატრეთ თქვენ, მე ვგრძნობდი თქვენს ლოცვებს, ღმერთმა დაგლოცოთ“, – მიმართა მათ უწმინდესმა. ტაძრის მოლოცვის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარი დატოვა და საპატრიარქოში გაემგზავრა.

პატრიარქის გერმანიაში მკურნალობასთან დაკავშირებით ექიმმა ცისანა შარტავამ განაცხადა, რომ პატრიარქს გერმანიაში კარდიოლოგიური კუთხით გეგმურ-პროფილაქტიკური გამოკვლევა ჩაუტარდა. უწმინდესი ბერლინთან ახლოს ბრანდერბურგის ჰოპერგარტენის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში გადიოდა მკურნალობას.

„პატრიარქის გერმანიაში ყოფნას ორი მიზანი ჰქონდა. კერძოდ, მას კარდიოლოგიური კუთხით გეგმურ-პროფილაქტიკური გამოკვლევა ჩაუტარდა და 18-დღიანი სარეაბილიტაციო კურსი გაიარა. შედეგები ძალიან კარგი იყო. შევეცდებით, ექიმების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები განვახორციელოთ. ზოგადად, მისი მდგომარეობა, დამაკმაყოფილებელი, ძალიან კარგია“, – აღნიშნა ექიმმა.

მისივე თქმით, უწმინდესი თავს კარგად გრძნობს, მისთვის ეს ვიზიტი სარეაბილიტაციო კურსის გარდა, ერთგვარი დასვენებაც იყო. ცისანა შარტავამ აღნიშნა, რომ პატრიარქის გამგზავრება თებერვალში იგეგმებოდა, თუმცა, უწმინდესის დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა. (ინტერპრესნიუსი)



## საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქია ავლაბარში მომხდარ ინციდენტს გმობენ



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია „სურბ ეჯმიაწინ“ ეკლესიასთან მომხდარ ინციდენტს გმობენ.

სომეხთა სამოციქულო წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის განცხადებით, საქართველოს საპატრიარქოს ეკლესიათშორისი ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელ, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმესა და საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღვარ ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანს შორის საპატრიარქოში შეხვედრა გაიმართა.

„მხარეებმა განიხილეს 19 ივლისს თბილისის „სურბ ეჯმიაწინ“ ეკლესიასთან მომხდარი ინციდენტის დეტალები და დაუშვებლად მიიჩნიეს საქართველოში ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაციის გამოვლინებები, ხაზი გაუსვეს იმას, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა ხალხები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ერთად. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სომხურ და ქართულ ეკლესიათშორის ურთიერთობებს და საუკუნეებით ჩამოყალიბებულ მეგობრობას. ინციდენტზე საუბრისას, საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღვარმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიასთან მომხდარში არის ყოფითი და ხულიგნური გამოვლინებები, სამწუხაროდ, სახეზეა ასევე ეთნიკური შეუწყნარებლობის გამოხატულება, რაც ჩვენს საზოგადოებაში დაუშვებელია“, – აღნიშნულია განცხადებაში და იქვე ნათქვამია, რომ ეპარქიის წინამძღვარმა მიმართა მიტროპოლიტ გერასიმეს, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია I-ის კურთხევით, საქართველოს ეკლესიის თემებში შედარებით მეტი ადგილი დაეთმოს შემწყნარებლობისა და ქრისტიანული სიყვარულის ქადაგებას.

„შეხვედრის დასასრულს ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა სომეხი და ქართველი ხალხების საუკუნეებით გვერდიგვერდ ცხოვრების ისტორიასა და ტრადიციებს. ხალხს მოუწოდეს სიყვარულსა და მშვიდობაში ცხოვრებისკენ. იმედი გამოითქვა, რომ სამართალდამცავი ორგანოები გამოავლენენ დამნაშავეებსა და ორგანიზატორებს – საქართველოში ხალხებს შორის ნებისმიერი განხეთქილების პრევენციის მიზნით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

## კუდ-ში პრემიის სახით 2 626 400 ლარი გაიცა



ორგანიზაცია **IDFI**-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აუდიტის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც 2011 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 30 ნოემბრამდე დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ნაკლოვანებებია წარმოდგენილი. ამ პერიოდში დეპარტამენტმა პრემიის სახით 2 626 400 ლარი გასცა.

„2011 წელს დეპარტამენტის დირექტორს შრომის ანაზღაურების სახით 104 200 ლარი დაერიცხა, საიდანაც პრემიის სახით მიღებული აქვს 66 700 ლარი. ნოემბერში დირექტორს ერთჯერადად პრემიის სახით 14 500 ლარი დაერიცხა. დირექტორის მოადგილეების 2011 წელს მიღებული პრემიების ოდენობა მერყეობს 29 300-დან 39 900 ლარამდე.

2012 წლის აგვისტოში დეპარტამენტის დირექტორს პრემიის სახით მიღებული აქვს 18 750 ლარი. სულ ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით პრემიის სახით მიღებული აქვს 39 500 ლარი. მინისტრის ბრძანებებში პრემიის გაცემის საფუძვლად მითითებულია ზოგადად „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის“, თუმცა უცნობია, რა კონკრეტული დამსახურებებისთვის არის გაცემული ზემოხსენებული ოდენობის პრემიები.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს 2011 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 1 311 200 ლარის საკასო ხარჯი.

„შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო წლიურმა შრომის ანაზღაურებამ 2011 წელს 21 852 ლარი შეადგინა, ხოლო შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა საშუალო წლიურმა შრომის ანაზღაურებამ – 17 184 ლარი. 2011 წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო წლიურ ანაზღაურებას აღემატება 4 668 ლარით, რაც კანონმდებლობის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# „არასწორია პარლამენტარის ხელფასი იყოს 3 000 ლარი, როცა მოსამართლეს აქვს 5 000

## ზაქარია ქუცნაშვილი და დავით ონოფრიშვილი „ალიას“ უხსნიან, რატომ ეცოტავებათ ხელფასი

24 ივლისს პარლამენტში საინტერესო ამბები ხდებოდა: საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა დეპუტატის ხელფასის გაზრდა მოითხოვეს.

დეპუტატების განცხადებით, პარლამენტის წევრის ხელფასი ადეკვატური არ არის, ბევრ უწყებაში დეპარტამენტის უფროსებს უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარეს, ვიცე-სპიკერებს, დეპუტატებს და საკითხი დარეგულირებას მოითხოვს. საკითხი რიგგარეშე სხდომაზე, პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვისას დადგა. ხელფასების გაზრდის თაობაზე პირველი განცხადება ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა, რომელიც დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული პარლამენტის წევრის ხელფასის ზრდა 2015 წლის ბიუჯეტით.

**„ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მილიონერი დეპუტატი გვყავს, დანარჩენი დეპუტატი ხელფასზეა დამოკიდებული... მე პოპულისტი არ ვარ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი“**

„მესმის, რომ არაპოპულარულ საკითხს ვეხები, მაგრამ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკაში სახელისუფლებო ვერტიკალში ყველაზე დაბალი ხელფასი პარლამენტის წევრებს აქვთ, რაც სამართლიანად არ მიმაჩნია. გვაქვს სისტემა, როცა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსს უფრო მაღალი სახელფასო დანამატი აქვს, ვიდრე პარლამენტის წევრის ხელფასია. ვფიქრობ, ეს საკითხი გასასწორებელია“.

ქუცნაშვილის პოზიცია გაიზიარა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა, რომლის თქმითაც, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში პარლამენტის შენობასთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულებისკენ მიდის, შესაძლოა, დარჩეს რეზერვი, რაც „სხვა მიმართულებით გადანაწილების საშუალებას იძლევა“. ონოფრიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტარის ხელფასი შეადგენს 2000 ლარს, დეპუტატი ხელზე იღებს 1600 ლარს, ხოლო პრემია საქართველოს პარლამენტში 2013 წლიდან საერთოდ არ გაცემულა: „არის ხელფასი და არის დანამატი. არის რეზერვი და გარკვეულწილად ზრდა არის შესაძლებელი. მაგრამ სათანადო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ფაქტია, რომ პარლამენტის წევრის ხელფასი არ არის ადეკვატური. მთავრობამ ეს დაარეგულირა და ამის გაკეთება პარლამენტსაც მოუწევს“.



უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა სოციალურ ქსელში ასე უპასუხა უმრავლესობის წარმომადგენლებს:

„გაინტერესებთ, რამდენია პარლამენტის წევრის ხელფასი? ბატონმა დავით ონოფრიშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ დეპუტატის ხელფასია 1600 ლარი და პარლამენტში პრემიები არ გაიცემა. ვინმეს სჯერა, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ 1600 ლარს იღებენ? ეს არის უბრალოდ ტყუილი!

ფაქტია, რომ დღეს დამერიცხა პარლამენტის წევრის ხელფასი სულ 3444 ლარი. ასე იყო შარშანაც, რა არის აქ დასამალი?! შესაბამისად მაქვს შევსებული ქონებრივი დეკლარაციაც და შეგიძლიათ შეამოწმოთ. ბატონ ონოფრიშვილს ჯერ არ აქვს შევსებული 2013 წლის დეკლარაცია, თორემ ძალიან ადვილი შესამოწმებელია, რომ მას ჩემზე მეტი ხელფასი ერიცხება ყოველთვიურად პარლამენტიდან. ის კი გვიმტკიცებს, რომ მხოლოდ 1600 ლარს იღებენ დეპუტატები, ეს საკმარისია და გაზრდა არ იგეგმებაო. უბრალოდ, სირცხვილია!“

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა ნაციონალ ჩიორას უნდა დავეთანხმო და ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენს სათქმელს სწორედ უმცირესობის წარმომადგენელი აცხადებს. მაინც რამდენი აქვს ხელფასი პარლამენტარს დღეისთვის?



**სხვა ქვეყნებში ძალიან ბევრი კარგი რამ კეთდება, სხვა ქვეყნებში 150 ლარი არ აქვთ პენსიონერებს და ხალხი მასობრივად ნაგვის ურნებში არ იქექება**



**„ჩვეულებრივი პარლამენტის წევრი ხელზე იღებს 3100 ლარს და კომიტეტის თავმჯდომარე 3700 ლარს. მაგრამ ეს იყოფა ორად, ერთი ხელფასია და მეორე დანამატი.**

**– რა მნიშვნელობა აქვს ორად იყოფა თუ სამად, თქვენს ჯიბეში არ მიდის ყველა?**

**– ცხადია, ეს ჩვენი შემოსავალია ჯამში და რა არის პრობლემა?“**

**ვეცადეთ, კომენტარი ზაქარია ქუცნაშვილისგან მიგვეღო, მაგრამ მან არ გვიპასუხა, ამიტომ დავით ონოფრიშვილს დავუკავშირდით:**

– იწერთ უკვე? იყო საუბარი, რომ პარლამენტის ბიუჯეტი მომავალ წელს არ იცვლება და იქნება იმდენივე, რაც წლევანდელ წელს, დაახლოებით 52,4 მილიონი ლარი. მერე შეკითხვები იყო და ქუცნაშვილმა თქვა, მგონია, რომ მაინც დაბალია პარლამენტარების ხელფასები, სხვა სამინისტროებში დეპარტამენტების ხელმძღვანელების ხელფასებთან შედარებითო და თქვა, თუ არის შესაძლებლობა, რომ გარკვეულწილად გაიზარდოსო. ნამდვილად არის სიტუაცია, როცა ზოგიერთ უწყებაში კომიტეტის ხელმძღვანელზე მეტი ხელფასები აქვთ, რასაც დარეგულირება სჭირდება. მაგრამ რადგანაც ლაპარაკი იყო სარგოზე, მე ვთქვი, რომ არის ხელფასი 2000 და არის დანამატი-მეთქი.

**— პარლამენტარი თვეში რამდენს იღებს მთლიანად?**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## კულტურის მინისტრის მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდათ

პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით კულტურის მინისტრის მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდათ.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის №239 ბრძანებით მიხეილ გიორგაძე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად დაინიშნა.

ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის №240 ბრძანებით უფლებამოსილება შეუწყდათ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეებს“, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

– ჩვეულებრივი პარლამენტის წევრი ხელზე იღებს 3100 ლარს და კომიტეტის თავმჯდომარე 3700 ლარს. მაგრამ ეს იყოფა ორად, ერთი ხელფასია და მეორე დანამატი.

**— რა მნიშვნელობა აქვს ორად იყოფა თუ სამად, თქვენს ჯიბეში არ მიდის ყველა?**

– ცხადია, ეს ჩვენი შემოსავალია ჯამში და რა არის პრობლემა?

**— ჩემთვის ისაა პრობლემა, რომ როცა ამას ემატება ტელეფონზე სასაუბრო ბარათები უფასოდ, როცა ბენზინი გეძლევათ უფასოდ, არ უნდა იყოს ეს თანხა საკმარისი?**

– ბენზინი რომ მაქვს, მე, გენაცვალე, სასეირნოდ კი არ მაქვს! მე რომ პარლამენტში არ ვმუშაობდე ჩემი ხელფასით მექნებოდა ბენზინი, რომელიც ამ ხელფასზე ხუთჯერ მეტი იყო. აქ ლაპარაკი იყო, რომ ხელისუფლებაში უნდა იყოს შეთანაწყობა ხელფასების, აღმასრულებელსა და კანონმდებელ ხელისუფლებას შორის და უნდა იყოს ლოგიკური შეთანაწყობა, თანამდებობრივად ვის რამდენი აქვს ხელფასი. არ შეიძლება, დაბალი თანამდებობის პირს ჰქონდეთ მეტი შემოსავალი, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარეს, ან პარლამენტარს, როცა ეს სხვა ქვეყნებში არის სხვანაირად.

**— სხვა ქვეყნებში ძალიან ბევრი კარგი რამ კეთდება, სხვა ქვეყნებში 150 ლარი არ აქვთ პენსიონერებს და ხალხი მასობრივად ნაგვის ურნებში არ იქექება.**

**„იყო საუბარი, რომ პარლამენტის ბიუჯეტი მომავალ წელს არ იცვლება და იქნება იმდენივე, რაც წლევანდელ წელს, დაახლოებით 52,4 მილიონი ლარი... სხვა სამინისტროებში დეპარტამენტების ხელმძღვანელებს აქვსო და თქვა, თუ არის შესაძლებლობა, რომ გარკვეულწილად გაიზარდოსო. ნამდვილად არის სიტუაცია, როცა ზოგიერთ უწყებაში კომიტეტის ხელმძღვანელზე მეტი ხელფასები აქვთ, რასაც დარეგულირება სჭირდება“**

– და თქვენ რას ითხოვთ, რომ პარლამენტარებს რაც შეიძლება დაბალი ხელფასი ჰქონდეთ და უვიცი პარლამენტარები გვყავდნენ? ხალხი აქ შემოვიდა, რომ იმუშაოს ქვეყნისთვის!

**— ხოდა, იმუშავეთ!**

– ტყუილად ღიზიანდებით, გენაცვალე!

**— ჩემი ჯიბიდან იღებთ იმ ფულს, რომელიც სავსებით საკმარისი უნდა იყოს პარლამენტარისთვის, არა? მოდით, ვიმყოფინოთ, რაც გვაქვს და ვიმუშაოთ!**

– ხალხისთვის ვმუშაობ მე, თან დღე და ღამე, თან შეიძლება, თქვენგან განსხვავებით!

**— ჩემგან განსხვავებით? გეშლებათ! თქვენ წარმოიდგინეთ, ჟურნალისტებიც დღე და ღამე ვმუშაობთ და არც მაგდენი ხელფასი გვაქვს და არც მანქანები გვემსახურება. თქვენი გამოსვლით ძალიან ბევრი ადამიანი გააღიზიანეთ.**

– არ ვიცი, ვინ გავაღიზიანე, უბრალოდ, ფაქტი ვთქვი. შევადარეთ სხვა ქვეყნებს და შეგვიძლია, ხელფასი 600 ლარი გავხადოთ და აქ ვერავინ მოვა, ვისაც განათლება და ცოდნა აქვს.

**— ჩვენ თქვენ აგირჩიეთ და არ იცოდით, სად მოდიოდით?**

– და თქვენ გგონიათ ხელფასისთვის მოვედი? ხუთჯერ ნაკლები მაქვს აქ ხელფასი.

**— (მეცინება) აბა, რაზეა საუბარი? თქვენ ხომ გააკეთეთ არჩევანი?**

– კი, ქვეყნის გულისთვის გავაკეთეთ ეს არჩევანი.



„გაინტერესებთ, რამდენია პარლამენტის წევრის ხელფასი? ბატონმა დავით ონოფრიშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ დეპუტატის ხელფასია 1600 ლარი და პარლამენტში პრემიები არ გაიცემა. ვინმეს სჯერა, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ 1600 ლარს იღებენ? ეს არის უბრალოდ ტყუილი!

ფაქტია, რომ დღეს დამერიცხა პარლამენტის წევრის ხელფასი სულ 3444 ლარი. ასე იყო შარშანაც, რა არის აქ დასამალი?!“

**— ხოდა, ვიმეორებ, ვემსახუროთ ამ ქვეყანას ისე, როგორც საბანი გაგვწვდება, ანუ, რაც გვაქვს, იმ თანხით, თორემ მაღალი ხელფასი ძალიან კარგია.**

– უკაცრავად, ეს რომელი გაზეთია?

**— თავიდანვე გითხარით, „ალია“!**

– „ალია“... კარგით...

**მოგვიანებით მიკავშირდება დღის სესიის გმირი ზაქარია ქუცნაშვილი:**

– ჩვენ ყველანი გადასულები ვართ საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე და ასეთ სისტემაში პარლამენტის წევრს ბევრად ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე მინისტრსა და მოსამართლეს, აღარ ვლაპარაკობ სხვა სპეციალისტებზე. მე ვფიქრობ, რომ ეს არასწორია, ჯამში პარლამენტარის ხელფასი იყოს 3000 ლარი თავისი დამანამატიანად, როცა მოსამართლეს აქვს 5000 ლარი! თან ჩვენ თბილისი-ქუთაისის გზაზე ყოველდღიურად გვიწევს ყოფნა და ოჯახის გარეთ კვება და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება, ამისთვის 3000 ლარი ცოტაა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მილიონერი დეპუტატი გვყავს, დანარჩენი დეპუტატი ხელფასზეა დამოკიდებული.



„მე ვფიქრობ, რომ არასწორია, ჯამში, პარლამენტარის ხელფასი იყოს 3000 ლარი თავისი დამანამატიანად, როცა მოსამართლეს აქვს 5000 ლარი! თან ჩვენ თბილისი-ქუთაისის გზაზე ყოველდღიურად გვიწევს ყოფნა და ოჯახის გარეთ კვება და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება, ამისთვის 3000 ლარი ცოტაა“

**— ამ ქვეყანაში 3000 ლარი ხელფასი რომ აქვს პარლამენტარს, უხერხული არ არის მომატებაზე ლაპარაკი?**

– არა! არ გეთანხმები. მე პოპულისტი არ ვარ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

**— მდგომარეობა როგორია ქვეყანაში, იცით? „მარშრუტკა“ რა ღირს, იცით? მეტროთი მოძრაობთ? საკვები რა ღირს, იცით? გადმოდით მაგ მანქანებიდან და ნახეთ ხალხის ცხოვრება.**

– პოპულიზმია!

**— რას ჰქვია, პოპულიზმია? პოპულიზმი კი არა, გაუსაძლისი ცხოვრებაა! ჩვენ რაღაცის გამო ვითმენთ და რომ აღარ მოვითმენთ, მაშინაც პოპულიზმი იქნება, რომ გამოვა ხალხი ისევ ქუჩაში? მოდით, თქვენც მოითმინეთ, მანდ, პარლამენტში.**

– მესმის, არაპოპულარული აზრია, რაც ვთქვი, არასწორია, რომ პარლამენტარების ხელფასი იგივეა, რაც იყო 2010 წელს და...

**— რატომ იმას არ ამბობთ, პენსიები მოვუმატოთ ხალხსო? რომ სოციალურად დაუცველებს მიხედოთ პარლამენტიდან? ჯერ ეს გაგვიკეთეთ და მერე მოიმატეთ ხელფასი!**

– გავზრდით ამ თანხას, მაგრამ 150 კაცი ხომ ხალხის წარმომადგენელია და ხალხისთვის ვშრომობთ.

**— ჯერ გვაჩვენეთ, რას შრომობთ და მერე ვილაპარაკოთ...**

– პოპულიზმია!

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მოსამართლეთა 3 წლის ვადით დანიშვნა ძალიან დიდ რისკს შეიცავს“



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს უარყოფითად აფასებს და აცხადებს, რომ მოსამართლეების სამი წლის ვადით დანიშვნა მათ დამოუკიდებლობას ძირს უთხრის.

„იცით, რომ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა და ესაა ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი მიღწევა. მასში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მოსამართლეებს ეთმობათ და იმას, როგორ უნდა მოხდეს მათი გადამზადება, რომ მთლიანი სისტემა ევროპული სტანდარტისკენ სწრაფად წავიდეს. როგორადაც არ უნდა გადავამზადოთ მოსამართლეები და ამის პრობლემა დიდი ხანია, არ გვაქვს, როგორი მაღალი კვალიფიკაციის ტრენერებიც არ უნდა მოვიწვიოთ, აბსოლუტურად არაფერს არ ექნება აზრი, თუ მოსამართლეები დავნიშნეთ მხოლოდ 3 წლის ვადით. ეს არის არა მარტო ჩემი მოსაზრება, ეს არის, პირველ რიგში, ვენეციის კომისიის მოსაზრება, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის მოსაზრება, რომლებიც ყოველთვის აფიქსირებენ, რომ მოსამართლეთა 3 წლის ვადით დანიშვნა შეიცავს ძალიან დიდ რისკს, საფრთხეს მათი დამოუკიდებლობისთვის. ამ 3 წლის განმავლობაში შესაძლებელია მოსამართლეებმა პოლიტიკური მოტივაციის გადაწყვეტილებები მიიღონ და არა სამართლებრივი არგუმენტებით დასაბუთებული. ამიტომაც ჩვენი მიდგომა ასეთია – სამწლიანი დანიშვნა მოსამართლის დამოუკიდებლობას ძირს უთხრის“, – განაცხადა კუბლაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ბიზნესის განვითარებას“

თბილისის ახლად არჩეული მერის დავით ნარმანიას განცხადებით, გერმანია-საქართველოს ბიზნესგაერთიანებაში საკმაოდ ბევრი და საინტერესო ბიზნესკომპანიები არიან გაწევრიანებული. მისი თქმით, ბევრ კომპანიას საკმაოდ საინტერესო ბიზნესი აქვს თბილისში.



„ჩვენ ვაპირებთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ამ გაერთიანებასთან და მის წევრებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან, დედაქალაქში გააფართოონ თავიანთი ბიზნესი. ჩვენ მათთვის გვექნება შესაბამისი პირობები, მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ბიზნესის განვითარებას. ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამა მიმართულია, რომ თბილისი გახდეს ეკონომიკური და ტურისტული ცენტრი და საინტერესოა ასეთ კომპანიებთან თანამშრომლობა“, – აღნიშნა ნარმანიამ.

მისი თქმით, მსგავსი კომპანიებისთვის შეიქმნება სპეციალური ბიზნესცენტრი.

„გვექნება სპეციალური შეთავაზება, რომ მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ. ხელი შევუწყოთ ბიზნესის განვითარებას, რათა დასაქმდნენ ადამიანები და ხელი შეუწყონ წარმოების ზრდას და ბიუჯეტში შენატანების გაზრდას“, – განაცხადა ნარმანიამ.

მერის თქმით, განაშენიანების გენერალური გეგმის მიხედვით იგეგმება, რომ თბილისში ლოჯისტიკურ ცენტრებთან ახლოს ცალკე გამოიყოს ტერიტორია და ეს ტერიტორია შეღავათიანი პირობებით იყოს შეთავაზებული ბიზნესისთვის, რომელიც გააკეთებს თბილისში სპეციალურ საწარმოს.

„ეს იქნება უშუალოდ წარმოება, გადამუშავება და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ კომპანიებს არამხოლოდ შევთავაზოთ ფართი, არამედ გავაკეთოთ სპეციალური ბიზნესცენტრი, რომ შეძლონ დაინტერესებულმა ინვესტორებმა ბიზნესის მართვა“, – განაცხადა ნარმანიამ. (რეპორტიორი)

# რაში მოსთხოვა ეროსი კიწმარიშვილმა თემურ შაშიაშვილს 600 000?



„ალიას“ ესაუბრება მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი **თემურ შაშიაშვილი:**

**— ბატონო თემურ, ცნობილი უცხოელი პროკურორების ჩამოსვლის რეალურ მიზეზებზე არაერთი ვერსია გამოითქვა: სააკაშვილის დასაჭერად არიანო, გახმაურებულ საქმეებზე სამუშაოდ და ა.შ. ბოლოს ისიც მოვისმინე, ახალაიას საქმე სტრასბურგში მიაქვთ, ქართულ მხარეს საქმის წაგება ეშინია და ამიტომაც ჩამოიყვანესო. თქვენ გაქვთ, რამე ინფორმაცია?**

– ძალიან კარგია, რომ ჩამოიყვანეს ახალაიებზე, კეზერაშვილსა და უგულავაზე საუბარი არის ქვეყნის ავადმყოფობა. ციხეში ზის ადამიანი, რომელმაც შიმშილის გამო პური მოიპარა და გვედიდგულება ადამიანი, რომელმაც ბიუჯეტიდან მოიპარა მილიონობით ლარი. ეს იყო ტესტი ამ ხელისუფლების. ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა, ჯერ კიდევ სიცოცხლეში, და რეზო ჩხეიძემ მიწერეს ხელისუფლებას, ხომ მოხვედით ხალხის მხარდაჭერით, ციხეში ზის 65 წელს გადაცილებული ქალი, რომელსაც არ ჩაუდენია სახელმწიფო დანაშაული და 75 წლის მამაკაცი, რომელიც საყოფაცხოვრებო დანაშაულის გამო ზის ციხეში, რაც მთავარია, 16 წელს გადაცილებულ ბავშვს რა უნდა ციხეშიო. ეს წერილი მისწერეს პრეზიდენტსაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც. ორმა უზარმაზარმა პიროვნებამ დაწერა ასეთი თხოვნა და ამისთვის ვერ მოიცალა ხელისუფლებამ, სამაგიეროდ მთელი საქართველო საუბრობს იმაზე, ახალაია და უგულავა რა პირობებში იქნებიან. ესენი არიან ბანდიტები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო მაფიას. საქართველო გახდა საერთაშორისო მაფიის ნაწილი, რომელმაც აიტანა გარედან მართვადი ხელისუფლება. ბევრმა ქვეყანამ არ დაუშვა ასეთი რამ. საქართველოში არასამთავრობოები ასხედან ხელისუფლებასაც და ქვეყანასაც თავზე, თან ფინანსდებიან მილიონებით. ისინი კი, თავის მხრივ, ამ მაფიის დასაყრდენნი არიან. ამიტომაც ვერ ბედავს ხელისუფლება, თქვას, ეს ორგანიზაციები რა თანხას იღებენ და რისთვის ფინანსდებიან. ძალიან უადვილდებათ შეტევა იმ ბანკზე, რომელსაც არ აქვს ურთიერთობა სოროსთან, ნებისმიერ მეწარმეს ანადგურებენ, ვისაც ეროვნული სულისკვეთება აქვს, არიან ქართული ყაიდის მეწარმეები, ხელისუფლებაც ვერ იცავს და უცხოეთიც ებრძვის გარედან. ესაა ღერძი უბედურების. სამაგიეროდ, არავინ შეხებია იმ ბიზნესმენებს, ვისაც ოფშორულ ზონებში აქვს ბიზნესი. ვინმე შეეხო ნიკოლაიშვილს? მინისტრი იყო და ხელის გულზე დევს მისი დანაშაულები. მილიონები შემოვიდა გრანტების სახით, ხარჯავდა ნიკოლეიშვილი. ერთ დოლარს 20 ცენტის საქმე აქვს გაკეთებული. ათასი ხმები დადის მის შესახებ.

**— კონკრეტულად რა ხმები?**

– ის, რომ ახალ ხელისუფლებაში ჰყავს მფარველები, თორემ ეს კაცი კეზერაშვილზე უარესია. გარედან რა ფულიც შემოდის, სულ უკონტროლოა. ფული არსებობს რამდენიმენაირი: ბიუჯეტში შესული და არშესული. ბიუჯეტში შესულს ხარჯავდა ნიკოლეიშვილი, არ უშვებდა და მალავდა გარედან შემოსულ ფულს, მერე ოფშორებში რიცხავდა კეზერაშვილი. ანუ ფულის გარედან მაკონტროლებელი იყო კეზერაშვილი, შიგნიდან მაკონტროლებელი კი – ნიკოლეიშვილი.

**— საკადრო ცვლილებებზეც დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. როგორ ფიქრობთ, რა ნიშნით შეირჩნენ ახალი კადრები?**

– საკადრო ცვლილებები, რომელიც პრემიერ-მინისტრმა განახორციელა, ადასტურებს, რომ ის შეეხო მხოლოდ იმ მინისტრებს, ვისაც ქვეყნის გარეთ პატრონი არ ჰყავთ. ივანიშვილის ტაქტიკა იყო, მიეცი ფული და ვისაც მისცემ, შენი ხდება. ამ შემთხვევაში კი მინისტრები უსიტყვო მორჩილების ნიშნით დაინიშნენ, მისცეს თანამდებობა და მისიანი გახდნენ. ივანიშვილის ხელისუფლება რომ არ აწყობდეს დასავლეთს, მისი კონცეფცია არის ღრმად სოციალისტური, ფულის დარიგებაზე ორიენტირებული. ეს არ არის დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი კონცეფცია. ვისაც ფული მისცა ივანიშვილმა, მოიმადლიერა, ვისაც არ მისცა, გაანაწყენა. ასე დაიყო საქართველო.

**„ივანიშვილის ხელისუფლება რომ არ აწყობდეს დასავლეთს, მისი კონცეფცია არის ღრმად სოციალისტური, ფულის დარიგებაზე ორიენტირებული. ეს არ არის დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი კონცეფცია. ვისაც ფული მისცა ივანიშვილმა, მოიმადლიერა, ვისაც არ მისცა, გაანაწყენა. ასე დაიყო საქართველო“**

ამას წინათ ერთ-ერთ კლინიკაში ვიყავი და ხალხს ვესაუბრებოდი, ექიმი რომ გამოვიდა, თქვა, კარგი ახალგაზრდა დანიშნეს კულტურის მინისტრადო. მე შევეწინააღმდეგე, რადგან ყველა ქვეყანაში ასაკში მყოფი ადამიანი გამოცდილია და ყველგან, რომელი ქვეყნებიც განვითარებულია, 60 წლამდე ადამიანს თანამდებობას არ აკარებენ-თქო. ცოტა ხანში მეუბნება ეს ექიმი, ეს იმიტომ ვთქვი, რომ იქვე ივანიშვილის ახლობელი იდგაო. არაა დაღუპული ქვეყანა? თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ყოფილ პრემიერს, ბატონო ბიძინა, გწყინთ ხოლმე, მაგრამ თქვენი პრემიერმინისტრობის დროს გვარი რომ გადაიკეთა ერთმა ადამიანმა ივანიშვილად, ამის შესახებ გსმენიათ?

**— ვინაა ეს ადამიანი, ვისზეც მიანიშნებთ?**

– ერთ საკმაოდ გავლენიან ადამიანზე, რომელიც სამინისტროებში რეკავს ივანიშვილის სახელით, ათასი ადამიანი დაადასტურებს ამ ფაქტს, რეკავს მინისტრებთან, ეუბნება, ივანიშვილი ვარო და აკეთებინებს საქმეებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს არ იცის. სხვათა შორის, ეს ადამიანი ჩართული იყო არჩევნებშიც და ქუთაისშიც კი იყენებდნენ ჩემს წინააღმდეგ. ჩემი აზრით, ილუზორული ივანიშვილის ტყვეობაში არის ხალხი ჯერ კიდევ და ყველაფერი ამის გამო ხდება, რომ ვიჯერებთ მისას.

**— მითხარით, ვინ არის ეს ადამიანი?**

– ჯერჯერობით, მის ვინაობას არ დავასახელებ...

**— ბატონო თემურ, ვინ გაუშვეს პოსტებიდან იმ მინისტრებსაც გვიქებდნენ, მაგრები არიანო, მაგრამ ვისი განთავისუფლების მოლოდინიც იყო,**

გაგრძელება მე-6 გვერდზე



„თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ყოფილ პრემიერს, ბატონო ბიძინა, გწყინთ ხოლმე, მაგრამ თქვენი პრემიერმინისტრობის დროს გვარი რომ გადაიკეთა ერთმა ადამიანმა ივანიშვილად, ამის შესახებ გსმენიათ?.. სამინისტროებში რეკავს ივანიშვილის სახელით, ათასი ადამიანი დაადასტურებს ამ ფაქტს, რეკავს მინისტრებთან, ეუბნება, ივანიშვილი ვარო და აკეთებინებს საქმეებს“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვიდეო გინდათ ხო?!. ეგეც იქნება, ყველა სისტემას ჰყავს თავისი ბედუკაძე“



„რა ამბებიც ახლა ციხიდან გამოდის, ცემა, წამება, შეურაცხყოფა, მაყურებლები და ა.შ. რა ამბებსაც ჰყვებიან პატიმრები, მათი ახლობლები, ადვოკატები, არასამთავრობოები, საკმარისი არაა ხო?!..

გგონიათ, რომ იტყუებიან ხო?!. გგონიათ, რომ ვიღაცები ტყუილად ასრულებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით, ტყუილად იჭედებენ ხელებს სკამზე, ტყუილად აცხადებენ შიმშილობას, ტყუილად ითხოვენ შველას ხო?!. ახლა ეგეთები აღარ ხდება ხო?!.

იცით, ჩვენც ეგრე გვეგონა, ჩვენც არ ვიჯერებდით... ვიდეო გინდათ, ხო?!.

ეგეც იქნება, ყველა სისტემას ჰყავს თავისი ბედუკაძე“, – წერს გოგა ხაჩიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უცხოელი პროკურორები ჩამოსვლის მიზეზს განმარტავენ



საქართველოს პროკურატურასა და მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფს შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც შეიქმნება საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ქართველ პროკურორებს სამართლის სფეროში არსებულ მსოფლიო პრაქტიკასა და გამოცდილებას გაუზიარებს. ეს მნიშვნელოვანია მაღალი თანამდებობის პირების საქმეების გამოძიების წარმოებისა და პროცესის გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტების ამაღლებისათვის. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს პროკურატურის ახალ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

პოლ კაფი: ჩვენ აქ ჩამოვედით, რომ ხელი შევუწყოთ პროკურორს და დავეხმაროთ მას პროკურატურაში ამჟამად მიმდინარე საკითხების შეფასებაში. განსხვავებული კანონმდებლობებისა და მიდგომების გათვალისწინებით ჩვენ გავუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას, ცოდნასა და მოსაზრებებს ამ საკითხების გადაჭრის გზების შესახებ.

მოშე ლადორი: ჩვენ ჩამოვედით საქართველოს მთავარი პროკურორის მოწვევით, იმისთვის, რომ ჩვენს განსხვავებულ ქვეყნებში მიღებული გამოცდილების მეშვეობით დავეხმაროთ საქართველოს პროკურატურას ამჟამად მიმდინარე საქმეების შეფასებაში. იმედს გამოვთქვამთ, რომ დისკუსია ნაყოფიერი იქნება და ჩვენ შევძლებთ ამ პროცესისთვის ხელის შეწყობას. (ნიუპოსტი)




## თბილისში ქალბატონმა ტაქსის მძღოლი გაძარცვა

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე მგზავრმა ტაქსის მძღოლი გაძარცვა. გავრცელებული ინფორმაციით, მგზავრი ქალბატონი იყო, რომელმაც მძღოლს აფთიაქთან წამლის ყიდვა სთხოვა. მძღოლის ავტომობილიდან გადასვლის შემდეგ კი, დაახლოებით 200 ლარი, რომელიც მანქანაში იყო, ქალბატონმა თან წაიღო. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

**სწორედ ისინი დატოვეს თანამდებობაზე. თუ წინა პოსტზე არ ვარგოდა, ახალი უწყება რატომ ჩააბარე?**

– ღარიბაშვილმა უპატრონო მინისტრები გაათავისუფლა. მაგალითად, სუბარს გარეთ ჰყავს პატრონი, ამიტომ მისი სახლში გაშვება ასეთი ადვილი არ იქნება. ის არის დაკავშირებული თავისუფლების ინსტიტუტთან, სხვადასხვა ფონდებთან, ამიტომ ადვილად ვერ შეეხებიან იმის მიუხედავად, რომ სხვა დამოკიდებულებაა საზოგადოებაში. ვერ შეეხებიან ხოკრიშვილს, რადგან რესპუბლიკელია და თბილისის მერთან ერთად ჰქონდა ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდებოდა სოროსის მხრიდან, შესაბამისად, ის იყო პატრონი, თორემ აბა, ოდიშარიას რა პატრონი ჰყავდა?

**— სამაგიეროდ ივანიშვილის წარდგენილი იყო და სუსტი მინისტრიც.**

– კი, ბატონო, მაგრამ ივანიშვილის ხათრით ხომ იყო ორი წელი თანამდებობაზე? ახლა ქართულ კულტურას სჭირდება ინტერნაციონალიზაცია და ამ მიზნით მოვიდა ახალი კადრი. ნახეს, რომ ქართული ეკლესიისა და კულტურის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლაა გაჩაღებული და ამას სჭირდება ხელის შეწყობა.

**„ამას წინათ ერთ-ერთ კლინიკაში ვიყავი და ხალხს ვესაუბრებოდი, ექიმი რომ გამოვიდა, თქვა, კარგი ახალგაზრდა დანიშნეს კულტურის მინისტრადო. მე შევეწინააღმდეგე, რადგან ყველა ქვეყანაში ასაკში მყოფი ადამიანი გამოცდილია და ყველგან, რომელი ქვეყნებიც განვითარებულია, 60 წლამდე ადამიანს თანამდებობას არ აკარებენ-თქო. ცოტა ხანში მეუბნება ეს ექიმი, ეს იმიტომ ვთქვი, რომ იქვე ივანიშვილის ახლობელი იდგაო. არაა დაღუპული ქვეყანა?“**



**— ბატონო თემურ, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებაზე არაერთი ვერსია ითქვა, რამე განსხვავებული ხომ არ იცით?**

– დავიწყოთ იმით, რომ, რაც მოხდა, უკვე ცუდია, მაგრამ არა მოულოდნელი. დღეს ეროსი, ხვალ სხვა, ზეგ სხვა... პროცესი დაიწყო. ასეთი რამ წარმატებული იმ ქვეყანაშია, სადაც პროცესს უშიშროება წარმართავს. ყველაზე მეტად სამართლიანობის დადგენა იმ ხალხს არ აწყობს, ვინც უშუალო შემსრულებელი იყო. მათ სისაძაგლეები აკეთებინეს, ბევრმა ყველაფერი ეს სიამოვნებით აკეთა, ბევრი ამას ერთგულების დადასტურების მიზნით აკეთებდა და აკეთებს. ამ ხალხის ხელწერაა ის, რაც ხდება, როგორც „ნაცების“, ასევე „ოცნების“ შიგნით, საერთოდ ქვეყანაში.

**„ეროსი კიწმარიშვილს ვთხოვეთ, გვერდით დაგვიდექით პროექტის „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ ფარგლებში-თქო და ამაში 600 000 მოგვთხოვა. როცა მისი ქონებრივი დეკლარაცია წავიკითხე, გული დამწყდა, ამერიკაში ბინა გაქვს, საქართველოში უამრავი, განა რა მოხდა ისეთი, რომ ყველასგან იღებდა ფულს?“**

დავფიქრდეთ, ვის აწყობს ივანიშვილისა და მარგველაშვილის, ამ უკანასკნელისა და ღარიბაშვილის გართულებული ურთიერთობები. ივანიშვილის აბსოლუტურად გაუგებარი და არადემოკრატიული ურთიერთობები არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, თუნდაც იმ პოლიტიკოსებთან, რომელნიც არ იზიარებენ ივანიშვილის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ შეხედულებებს? მხოლოდ იმათ, ვინც გარედან იმართებიან, სხვის ინტერესებს ემსახურებიან, საშინელებები აქვს ნაკეთები და ეშინიათ სიმშვიდის. ამ ხალხის ხელშია დღეს ქვეყანაც და მაღალი თანამდებობის პირებიც. ამ უკანასკნელთ გამოცდილება არ აქვთ და უყვართ პირადი ერთგულები, მონური ფსიქოლოგიის ხელქვეითები. ასეთებს კი გამოცდილებაც აქვთ და აქვთ დიდი უნარი, დაგარწმუნონ, რომ თქვენი ერთგულები არიან... მოკლედ რომ ვთქვა, ისინი თავზე აჯდებინენ ყველაფერს. ბიოლოგიურად ვერ ვიტან ენის მიმტანს და მომტანს, ჩამშვებს, ერთი და განსაკუთრებული, არ მჯერა იმ ხელმძღვანელის, რომელიც კადრებს პირადი ერთგულებით არჩევს, ქვეყან და მოხერხებულად მართავენ გამოუცდელ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც უყვართ მონა ხელქვეითები. დიდი პოსტები მეჭირა, მაგრამ პრაქტიკულად მარტო არ ვხვდებოდი არც უშიშროების, არც პოლიციის, არც პროკურატურის ხელმძღვანელს, ვიცოდი, სხვებს ჩაუშვებდნენ ან დააბრალებდნისთვის საშიშ ხელმძღვანელად ვთვლი მას, ვინც უშიშროებას, საერთოდ, პოლიცია-პროკურატურას ეყრდნობა, სასამართლოს ეუფროსება. ქვეყანაში მდგომარეობა იმაზე რთულია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ქვეყნის დახსნაა საჭირო საშიში ადამიანებისგან. ეროსი კიწმარიშვილს ვთხოვეთ, გვერდით დაგვიდექით პროექტის „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ ფარგლებში-თქო და ამაში 600 000 მოგვთხოვა. როცა მისი ქონებრივი დეკლარაცია წავიკითხე, გული დამწყდა, ამერიკაში ბინა გაქვს, საქართველოში უამრავი, განა რა მოხდა ისეთი, რომ ყველასგან იღებდა ფულს? სპეცსამსახურების თვისებაა, ჯერ აღზევებაში დაგეხმარებიან, მერე კი გაგაცამტვერებენ. ვინ გაახარა ჯერ სპეცსამსახურებმა? ხელისუფლებამ კი, რომელიც სპეცსამსახურების საქმეებს აკეთებს, უნდა იცოდეს, რომ ისინი მას გადააგდებენ, რადგან მათ სიმშვიდე არ აწყობთ. ეროსი რომ შემოვიდა პოლიტიკაში, შეიძლება, წესიერი გზით ეშოვა ამდენი ფული?



**„სუბარს გარეთ ჰყავს პატრონი, ამიტომ მისი სახლში გაშვება ასეთი ადვილი არ იქნება. ის არის დაკავშირებული თავისუფლების ინსტიტუტთან, სხვადასხვა ფონდებთან, ამიტომ ადვილად ვერ შეეხებიან იმის მიუხედავად, რომ სხვა დამოკიდებულებაა საზოგადოებაში“**

**„ყველაზე მეტად სამართლიანობის დადგენა იმ ხალხს არ აწყობს, ვინც უშუალო შემსრულებელი იყო. მათ სისაძაგლეები აკეთებინეს, ბევრმა ყველაფერი ეს სიამოვნებით აკეთა, ბევრი ამას ერთგულების დადასტურების მიზნით აკეთებდა და აკეთებს. ამ ხალხის ხელწერაა ის, რაც ხდება, როგორც „ნაცების“, ასევე, „ოცნების“ შიგნით, საერთოდ ქვეყანაში“**

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საქართველოს მთავრობა ზურგს აქცევს უკრაინას და ფსბ-ს მმართველებს ანიჭებს უპირატესობას“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა ზურგს აქცევს უკრაინას.

„პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის განცხადება, სადაც მან, ფაქტობრივად, გამოაცხადა, რომ საქართველო მხარს ვერ დაუჭერს უკრაინას და უნდა მოახდინოს ფოკუსირება რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, რადიკალურად ცვლის ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ ორიენტაციას.

საქართველო წლების განმავლობაში სრულიად მარტო იბრძოდა რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების წინააღმდეგ. ახლა კი, სწორედ იმ მომენტში, როდესაც მთელი მსოფლიო მხარს უჭერს ჩვენი უკრაინელი დებისა და ძმების თავდადებულ ბრძოლას თავისუფლებისთვის, საქართველოს მთავრობა ზურგს აქცევს უკრაინას, ეს არის თავის დამცირება კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და დიდი შეცდომა და სირცხვილი ჩვენი საყვარელი ერის წინაშე. მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ იყო მომენტები, როდესაც საქართველოს მხოლოდ უკრაინა ეხმარებოდა. სწორედ უკრაინის შვილებმა გაწირეს თავი ჩვენთვის აფხაზეთში, უკრაინის პრეზიდენტი ჩვენთან ერთად იდგა რუსთაველზე 2008 წელს და ყველა სხვა გადამწყვეტ მომენტში.

დარწმუნებული ვარ, ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა იციან, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ჩვენი სოლიდარობის იმედი, მათ კარგად იციან ქართველი ხალხის თავისუფლების სიყვარული, მაშინაც კი, როდესაც მთავრობა, რომელსაც რეალურად მართავს „გაზპრომის“ უმსხვილესი კერძო აქციონერი ივანიშვილი, „ფსბ“-ს მმართველების ხიბლს ანიჭებს უპირატესობას.

დაუნახაობა, უმადურობა და მოყვასის ღალატი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ბრძნული პოლიტიკა. „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“-ს პრინციპით მოქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს“, – წერს სააკაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## არსენ იაცენიუკმა უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა



მან ამის შესახებ განცხადება უკრაინის რადას ტრიბუნიდან გააკეთა: „ეს მთავრობა არ იყო საუკეთესო მთავრობა, რაც ოდესმე ყოფილა უკრაინაში, თუმცა ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებდით, რომ სიტუაცია გაგვეუმჯობესებინა. იმედი მაქვს, მომავალში ჩვენ უკეთესი მთავრობა გვეყოლება... მმართველი საპარლამენტო კოალიციის, „ევროპული არჩევანის“ დაშლა, შესაძლოა, დრამატულად აისახოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე. ამ ფაქტმა განაპირობა მთავრობის გადადგომა.

იაცენიუკის გადადგომის მეორე მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების ჩავარდნაა. მისი თქმით, მას არ აქვს ამჟამად სახსრები, რითიც გადაიხდის ხელფასებს, მომარაგებით უზრუნველყოფს არმიას და სხვა.

„ჩვენც მომხრე ვართ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების, მაგრამ მთავარი განსხვავება ეროვნულ ლიდერსა და პოლიტიკანს შორის ისაა, რომ ეროვნული ლიდერი თავის თავზე პასუხისმგებლობას იღებს. რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში მთავრობამ?

პირველი – მან უნდა შექმნას ახალი უმრავლესობა... მაგრამ ეს ნიშნავს, რომ უმრავლესობაში უნდა შევიყვანო „რეგიონების პარტია“ და კომუნისტები... მე ამას არასდროს არ გავაკეთებ. მეორე – მთავრობა უნდა გადადგეს. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ და ამიტომაც ვაცხადებ გადადგომის შესახებ“. – განაცხადა იაცენიუკმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, ნინო ბურჯანაძის პარტიის, „დემოკრატიული" მოძრაობისა" და „ქრისტიან-დემოკრატების" გაერთიანებას იმთავითვე მოჰყვა მრავალი კითხვის ნიშანი. საზოგადოება შოკში ჩააგდო ბურჯანაძისა და „ქდმ"-ს ალიანსმა. გიორგი თარგამაძე და მისი პარტიის ლიდერები, ბურჯანაძეს პრორუსულ ძალასა და კრემლის პროექტს ეძახდნენ წლების მანძილზე, ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდის წევრები კი „ქდმ"-ს „ნაცმოძრაობის" სატელიტად და მიხეილ სააკაშვილის ჯიბის პარტიად ნათლავდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ვიგებთ, რომ „ქდმ"-ს თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე აირჩიეს და ერთად გამოვლენ ვითარებაში, ისე რომ არც ერთი ჟურნალისტისთვის არ უცნობებიათ გაიმართა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ყრილობა, რომელზეც გიორგი თარგამაძესთან ერთად გადადგომის შესახებ განაცხადა პარტიის მთელმა ხელმძღვანელობამ: ლევან ვეფხვაძემ, მაგდა ანიკაშვილმა და ნიკა ლალიაშვილმა. ყრილობას არ ესწრებოდნენ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათ ნაცვლად დარბაზში ნინო ბურჯანაძის პარტიის ე.წ. „დემოკრატიული მოძრაობის" რამდენიმე ათეული აქტივისტი იყო წარმოდგენილი. ყრილობამ, არც მეტი და არც ნაკლები, პარტიის თავმჯდომარედ გიორგი თარგამაძის ნაცვლევან ვეფხვაძეს ეს „საჩუქარი" ნინო ბურჯანაძისთვის უანგაროდ არ გაუკეთებიათ: „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში", მოარული ხმების მიხედვით, თარგამაძემ, ვეფხვაძემ და კომპანიამ საკუთარი პარტიის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნინო ბურჯანაძისგან სოლიდური ჰონორარები მიიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გარიგებას ყოველნაირად შეუწყო ხელი ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ: ჯერ იყო და ამომრჩეველს დაუმალა, რომ არჩევნებში არანაირი საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ოპოზიცია" არ მონაწილეობდა და სინამდვილეში არჩევნებში წარმოადგენდა „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას". ამის შემდეგ კი №3 მოხსენიებულთაგან, მხოლოდ **ნიკა ლალიაშვილის** ჩაწერა მოვახერხეთ:

**— ბატონო ნიკა, პარტიის ლიდერებს ბრალს გდებენ, რომ გარიგებაში შეხვედით ნინო ბურჯანაძესთან და პარტია მიჰყიდეთ.**

– რა უნდა ვთქვა, სისულელეა. ნინო ბურჯანაძე აირჩია პარტიის ყრილობამ თავმჯდომარედ.

**— აბა, რატომ გამოაპარეთ პარტიის ყრილობა ადგილობრივი ორგანიზაციის ზოგიერთ ხელმძღვანელს? რატომ არ მიიწვიეთ ყრილობაზე?**

– ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობა ჩატარდა ყველა წესის დაცვით, ვინც საჭირო იყო, ყველა მოწვეული იყო ყრილობაზე და ყრილობა ლეგიტიმური და კანონ-

**— თქვენი ოპონენტი, რომელმაც სააგენტოს ეს წერილი მიაწოდა, აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძემ, სავარაუდოდ, ჰონორარი გადაუხადა გიორგი თარგამაძესა და ლევან ვეფხვაძეს, იმის საფასურად, რომ პარტიის თავმჯდომარე გამხდარიყო. ფაქტობრივად, იმას ამბობს, რომ ბურჯანაძემ „ქდმ" იყიდა.**

– თუკი ბურჯანაძე ამბობდა, „ქდმ" „ნაცმოძრაობის" სატელიტი პარტიააო, თუკი „ქდმ" ჩასაძირად და დასაშლელად განწირული პარტია იყო, რაში სჭირდებოდა ნინო ბურჯანაძეს, რომ ასეთი, გაუფასურებული პარტია იყიდა? ყველაფერი ლოგიკურია. პარტიის ლიდერების ნაწილი საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან და ბუნებრივია, პარტიის წევრებმა ისეთი ლიდერი აირჩიეს,

# „კორუფციული გარიგება პარტიებს შორის

## რას პასუხობენ ბრალდებებზე „ალიას" „ქდმ" და „ბურჯანაძე-დემოკრატები"



**„ვიღაცებმა არ მისცეს ნინო ბურჯანაძეს ხმა და ეს ბუნებრივია. ისიც ბუნებრივია, რომ პარტიის წევრთა რაღაც რაოდენობა ვერ მოხვდა ყრილობაზე. არ მინდა ვინმე დავაკნინო, მაგრამ რადგან ისინი კორუფციულ გარიგებაზე ლაპარაკობენ, ამ ბინძურ ცილისწამებას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს"**

არჩევნებზეო.

ადგილობრივმა არჩევნებმა ისე ჩაიარა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გუშინ კი სააგენტო „ნიუპოსტმა" გაავრცელა სკანდალური წერილი, რომელიც სააგენტოს ინფორმაციით, უცნობმა პირმა გამოუგზავნა:

„2014 წლის 6 ივნისს საიდუმლოლად ნინო ბურჯანაძე აირჩია, რომელმაც დატოვა საკუთარი პარტია („დემოკრატიულ მოძრაობას" ამჟამად ვახტანგ ყოლბაია ხელმძღვანელობს). „ქდმ"-ს გენერალურ მდივნად არჩეული იქნა ზაზა ვეკუა. დღემდე ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდი საგულდაგულოდ მალავს გაქრისტიან-დემოკრატებას, და განცხადებებს კვლავინდებურად „დემოკრატიული მოძრაობის" სახელით აკეთებს, თუმცა ქრისტიან-დემოკრატების ვებ-გვერდი: **www.cdm.ge** გათიშულია და იგი ავტომატურად მისამართდება „დემოკრატიული მოძრაობის" მისამართზე: **www.democrats.ge**

საარჩევნო კამპანიის დროს ბურჯანაძემ სრულად ისარგებლა „ქდმ"-ს კუთვნილი საბიუჯეტო რესურსებით: 2-2 წარმომადგენელ თითოეულ საარჩევნო უბანზე (სულ – 700 000 ლარი) და უფასო სარეკლამო დროით (დაახლოებით 13 მლნ ლარი). რაღა თქმა უნდა, გიორგი თარგამაძესა და სუბიექტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები დაარეგისტრირა ნინო ბურჯანაძის ხელმოწერით, რომელიც ამ დროისთვის არ წარმოადგენდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარეს. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" დამფუძნებელი წევრები და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც სულ ახლახან შეიტყვეს ამ კორუფციული გარიგების შესახებ, დავის სასამართლოში გაგრძელებას აპირებენ".

ამ წერილის მიხედვით ისე გამოდის, რომ ბურჯანაძემ თითქოს რაღაცის საფასურად მიიღო „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარის პოსტი.

„ალია" თავდაპირველად ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენლებთან დაკავშირებას და ამ სკანდალურ ინფორმაციაზე კომენტარის მოპოვებას შეეცადა. გიორგი თარგამაძემ მხოლოდ ეს გვითხრა: „მე ნახევარი წელია პოლიტიკას არ შევხებივარ, წამოვედი. არც კი გავცნობივარ მაგ განცხადებას, რაზეც მელაპარაკებით. გავეცნობი და თუ საჭიროდ ჩავთვლი, კომენტარს გავაკეთებ". ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს წერილში ნახსენებმა ლევან ვეფხვაძემ და მაგდა ანიკაშვილმა. „ქდმ"-ს მხრიდან, წერილში

იერი იყო. პარტია ხომ არ არის რაღაც შპს, არა? ცოცხალი ორგანიზმია და მისი წევრებისგან შედგება. პარტიას აქვს თავისი ღირებულებები, პოლიტიკური შეხედულებები. ყველა პარტიის მიზანია, ადრე თუ გვიან, მოვიდეს ხელისუფლებაში და იყოს მმართველი პარტია. შესაბამისად, პარტიის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ, თუ ისინი აირჩევდნენ პარტიის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძეს, შეძლებენ დასახული მიზნის მიღწევას. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია. ამაში ვერაფერ ალოგიკურს ვერ ვხედავ.



**„ახლა დასდევენ ხალხს, ცდილობენ, გადაიბირონ და ათქმევინონ, ვითომ ყრილობაზე იყვნენ. ეს ხალხი მე მიკავშირდება. „ქდმ"-ს იმ წევრების ნაწილიც, ვინც ყრილობაზე იყო, გაბრაზებული და გაოგნებულია, ჩვენ არ ვიცოდით, თუ ბურჯანაძე უნდა აერჩიათ თავმჯდომარედ, ასეთი სპექტაკლი რომ უნდა დაედგათ, აზრზე არ ვიყავით, თორემ არ წავიდოდითო. მათ ხმა არ მიუციათ ბურჯანაძისთვის და ახლა ამ ხალხსაც გვერდზე ვუდგავარ"**

რომელიც, მათი აზრით, იმ მიზნების მიღწევაში დაეხმარებათ, რაც მათ დასახული აქვთ. ვიღაცებმა არ მისცეს ნინო ბურჯანაძეს ხმა და ეს ბუნებრივია. ისიც ბუნებრივია, რომ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი რაოდენობის საბრძოლო მასალა ჩააბარეს



შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის, ასპინძისა და ნინოწმინდის რაიონულ სამმართველოებში მოქალაქეებმა წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარალისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 3428 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 62 ხელყუმბარა, 11 ცალი გადაჭრილი თოფი, 3 პისტოლეტი, 1 შაშხანა და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

სულ ჩაბარებულია: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 3428 საბრძოლო ვაზნა, „ეფ-1" ტიპის 35 ცალი, „ერ-გე-დე"-ს ტიპის 4 ცალი და „ერ-გე"-ს ტიპის 23 ცალი ხელყუმბარა, „ერ-კა-გე 3 ემ"-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო 5 ყუმბარა, 11 ცალი გადაჭრილი თოფი, „ტოზ-8-01"-ის ტიპის 1 შაშხანა, „უ-ზე-ერ-გე-ემ"-ის ტიპის 43 ცალი ამფეთქი ფალია, 3 პისტოლეტი, „ბე-ემ15"-ის ტიპის 1 გასროლა, სანადირო თოფის 10 მასრა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი, 3 ცალი საკვამლე კოჭა, 10 ცალი ცილინდრული ფორმის საგანი და „ტე-ემ 62"-ის ტიპის 1 ცალი სასწავლო-ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



### „ხელისუფლების ბრალია, რომ ძმებ კუბლაშვილებს აბლატავებენ"

წინა ხელისუფლების დროს დახვრეტილი ზურაბ ვაზაგაშვილის მამის, იური ვაზაგაშვილის განცხადებით, კოტე კუბლაშვილსა და მის ძმას მორალური უფლება არ აქვთ, რომ საზოგადოების წინაშე სამართლიანობის შესახებ ისაუბრონ.

„კუბლაშვილებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ ყოველდღე ტელევიზიების საშუალებით საზოგადოებას მორალი წაუკითხონ. მათ იმხელა დანაშაულები აქვთ ჩადენილი, რომ ეს არის ქვეყნის შეურაცხყოფა, ახალი ხელისუფლების სერიოზული შეურაცხყოფაც, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ამხელა შესაძლებლობები მისცეს. სწორედ ამ ხელისუფლების უსუსურობის ბრალია, რომ ძმებ კუბლაშვილებს აბლატავებენ. არ ვიცი, რა უშლის ხელს, მაგრამ ფაქტია, რომ წინ ვერ მივდივართ... ხალხმა ახალი უმრავლესობა სწორედ იმ პირობით მოიყვანა ხელისუფლებაში, რომ სამართლიანობის აღდგენა სურდა. პრეზიდენტმა ბევრჯერ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დღესვე დამთავრდებოდა კოჰაბიტაცია, თუმცა დღემდე მოლოდინის რეჟიმში ვართ. სავარაუდოდ, სექტემბრისთვის ხალხი ქუჩაში გამოვა და თვითონ მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას". – აღნიშნა ვაზაგაშვილმა. (რეპორტიორი)

### მარგიშვილი, ჭიჭინაძე და ქურხული თბილისის ვიცე-მერის კანდიდატურებად მოიაზრებიან



თბილისის ვიცე-მერის თანამდებობისთვის სამი სავარაუდო კანდიდატი განიხილება. მათგან ერთ-ერთი ალექსანდრე მარგიშვილია, რომელსაც კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ასევე ვიცე-მერის პოსტზე მოიაზრება გივი ჭიჭინაძეც, რომელიც „ქართული ოცნების" წევრია. ის საბურთალოს რაიონში კოალიციიდან საკრებულოს მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, თუმცა დამოუკიდებელ კანდიდატ ალეკო ელისაშვილთან დამარცხდა. ასევე, ვიცე-მერის თანამდებობაზე თემურ ქურხულსაც განიხილავენ, რომელსაც თანამდებობა ეკავა როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში, თუმცა, როგორც ქურხულმა განაცხადა, მასთან ამ თემაზე ჯერ არავის უსაუბრია. (რეპორტიორი)

*მეშვიდე გვერდიდან*

პარტიის წევრთა რაღაც რაოდენობა ვერ მოხვდა ყრილობაზე. არ მინდა ვინმე დავაკნინო, მაგრამ რადგან ისინი კორუფციულ გარიგებაზე ლაპარაკობენ, ამ ბინძურ ცილისწამებას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. შესაძლოა, ლუკმაპურის საშოვნელად გამოსულები არიან, მათ ვიღაც რაღაცას დაჰპირდა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

**„ალიას“ კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ რომელიმე ლიდერის კომენტარიც სურდა, მაგრამ კატეგორიულად განაცხადეს, გიორგი ახვლედიანის გარდა, ვერავინ დაგელაპარაკებათო და ახლა მეორე ქდმ-ელთან მოგვიწია საუბარი.**

– ინკოგნიტო ავტორის მიერ გავრცელებულ წერილზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ ღირს, მაგრამ ძალიან მარტივად დგას საკითხი. ჩვენ როცა ნინო ბურჯანაძეს პარტიასთან კოალიციაში შესვლა გადავწყვიტეთ, ამის წინააღმდეგი „ქრისტიან-დემოკრატების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გოჩა ჯოჯუა წავიდა.




**„ყრილობა რომ ჩავატარეთ, მოვიწვიეთ იმ ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ვინც ჩავთვალეთ, რომ ახალ ვითარებაში გამოადგებოდნენ პარტიას, ვისთანაც ურთიერთობის გაგრძელებასაც აღარ ვთვლიდით საჭიროდ, ისინი აღარ მოვიწვიეთ. ამის გამო გაგვინაწყენდნენ. ზოგი იმის გამო განაწყენდა, რომ ვერ მოხვდა საკრებულოში ან გამგებელი ვერ გახდა“**

მას სურდა სხვა გაერთიანებაში შესვლა, ჯავახიძე-ედპ-დავითაია, 8 პარტია რომ უნდა გაერთიანებულიყო და ვერ გაერთიანდა. მერე ჩვენ, პარტიის ლიდერები, მას კატეგორიულად არ დავეთანხმეთ, ვუთხარით, რომ ჩვენი არჩევანი „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ მჭიდრო კონსოლიდაცია იყო. ჯოჯუამ განაცხადა, მაშინ მე დავტოვებ პარტიასო და დატოვა. „თბილისის ორგანიზაცია“ მხოლოდ 2 კაცი იყო, მასთან ერთად რომ წავიდა. ეს აპრილში მოხდა. ახლა, რა მორალური, პოლიტიკური და იურიდიული უფლებით აცხადებს, რომ ჩვენი ყრილობა იყო არალეგიტიმური, „ქდმ“-სთვის უნდა იბრძოლოს. სასამართლოშიც აპირებს ჩივილს. გაუშვი, იჩივლოს...

**— წერილის მიხედვით, ძალიან ბევრი ადამიანი იმ ყრილობას არ ესწრებოდა, სადაც ნინო ბურჯანაძე აირჩიეთ პარტიის თავმჯდომარედ. ეს ხალხი „ქდმ“-ს რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები იყვნენ.**

– ადრე იყვნენ თავმჯდომარეები, მაგრამ 2013 წელს, როცა საპრეზიდენტო არჩევნები წავაგეთ, პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყველა რეგიონული და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ბოლოს და ბოლოს, ამის შემდეგ, პარტიის თავმჯდომარე, გიორგი თარგამაძე გადადგა და საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან. ყრილობა რომ ჩავატარეთ, მოვიწვიეთ იმ ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ვინც ჩავთვალეთ, რომ ახალ ვითარებაში გამოადგებოდნენ პარტიას, ვისთანაც ურთიერთობის გაგრძელებასაც აღარ ვთვლიდით საჭიროდ, ისინი აღარ მოვიწვიეთ. ამის გამო გაგვინაწყენდნენ. ზოგი იმის გამო განაწყენდა, რომ ვერ მოხვდა საკრებულოში ან გამგებელი ვერ გახდა.

**— ყრილობაზე ჟურნალისტები არ მიგიწვევიათ. ამის გამოც არის, საიდუმლო ვითარებაში ყრილობის გამართვას რომ გაბრალებენ და სამართლიანადაც.**

– ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს ყრილობა პიარისთვის არ უნდა ჩაგვეტარებინა, არ იყო მისი გაშუქება საჭირო მედიით. ყრილობას, რომელზეც მედიის წარმომადგენლებსაც დავპატიჟებთ და პიარდატვირთვაც ექნება, სექტემბერში გავმართავთ.

**— გიორგი, ყოფილი ჟურნალისტი ხართ და ნამდვილად არ გესწავლებათ, პარტიის ყრილობაზე მედიას რომ არ მიიწვევ, ბუნებრივად ჩნდება ლოგიკური, საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის საიდუმლო ვითარებაში ჩატარდა.**

– ეს აბსოლუტურად ტექნიკური ხასიათის ყრილობა იყო, ეს არ იყო ყრილობა, საიდანაც საზოგადოებისთვის რაღაც გზავნილები უნდა მიგვეწოდებინა.

**— სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინკოგნიტო ავტორის განცხადებაში ნათქვამია, რომ გავრცელებული ხმების თანახმად, „თარგამაძემ, ვეფხვაძემ და კომპანიამ საკუთარი პარტიის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნინო ბურჯანაძისგან სოლიდური ჰონორარები მიიღეს“.**

– ამის შესახებ სერიოზული კომენტარის გაკეთება არ ღირს, ეს არის აბსურდული ჭორი, გიორგისა და ლევანის წინააღმდეგ აგორებული. ეგ ამბავი ვისგან მოდის, ეს უკვე არ ვიცი, იქნებ მითხრას მაგ ვიღაცამ, რა ჰონორარზეა ლაპარაკი.

**ამის შემდეგ „ალია“ გოჩა ჯოჯუას დაუკავშირდა, მის მიმართ გიორგი ახვლედიანის ბრალდებები გააცნო და კომენტარი სთხოვა:**

– ძალიან მარტივად არის ყველაფერი. როცა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა წინასაარჩევნოდ ოპოზიციის გაერთიანებაზე, თავიდან პროცესში ვიყავი ჩართული და ინფორმაციებიც მქონდა. როცა გაცხადდა, რომ ბურჯანაძე უნდა გამხდარიყო ლიდერი, მერე დაიწყო ინფორმაციის დაბლოკვა, კულუარული გარიგებები. ამის გამო გავემიჯნე მე მაგათ, ბურჯანაძისა და ამ დახურული პროცესის გამო. საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ეს ზურგსუკან, კულუარული გარიგებები. კი, მართალს ამბობს გიორგი ახვლედიანი, მე მართლა მომხრე ვიყავი დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნისა, მაგრამ მარტო ჯავახაძესთან და ედპ-სთან ერთად არა, რაც მეტი გაერთიანდებოდა, მით უკეთესი. რეალურად რა მოხდა? კოალიციას „ერთიანი ოპოზიცია“ დაერქვა და ოთხი სუბიექტი იყო მხოლოდ, ხალხი მოატყუეს. ეს იყო ფარსი, „ქდმ“-ს მეშვეობით მოხდა არჩევნებზე გასვლა. მაშინ იმდენი საკანონმდებლო ნორმა იყო დარღვეული, შეგვეძლო ნინო ბურჯანაძის პარტიის არჩევნებიდან მოხსნა, მაგრამ გავჩერდით, რადგან ხალხს არ ეფიქრა, რომ ოპოზიციონერი ბურჯანაძის წინააღმდეგ ვიბრძოდით და ხელისუფლების წისქვილზე ვასხამდით წყალს.

ყრილობა იყო ფარსი. რას ჰქვია, პარტიის მთავარმა კომიტეტმა ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეები მოვალეობის შემსრულებლად გაამწესა და ამიტომ, ვინც საჭიროდ ჩავთვალეთ, ის მოვიწვიეთო? ამის უფლება მთავარ კომიტეტს არ აქვს, ეს პარტიის ყრილობის გადასაწყვეტია,



**„მე ყველანაირი მორალური, იურიდიული და პოლიტიკური უფლება მაქვს, ვიბრძოლო და პარტია არ დავუთმო და ასეც იქნება. ჩემს გვერდით უამრავი ადამიანია, ვინც ძალიან ბევრი გააკეთა „ქდმ“-სთვის და მათი, უკაცრავად და, გადაგდება მოინდომეს, თვალსა და ხელს შუა უნდათ, რომ პარტია ააცალონ. ამას ვერ გააკეთებენ“**

ყრილობა კი არ ჩატარებულა. ამ ფარსზე სულ 75 დელეგატი იყო, აქედან „ქდმ“-ს წევრი იყო მხოლოდ 15. არადა, 205 დელეგატი ჰყავთ გაფორმებული. ახლა დასდევენ ხალხს, ცდილობენ, გადაიბირონ და ათქმევინონ, ვითომ ყრილობაზე იყვნენ. ეს ხალხი მე მიკავშირდება. ქდმ-ს იმ წევრების ნაწილიც, ვინც ყრილობაზე იყო, გაბრაზებული და გაოგნებულია, ჩვენ არ ვიცოდით, თუ ბურჯანაძე უნდა აერჩიათ თავმჯდომარედ, ასეთი სპექტაკლი რომ უნდა დაედგათ, აზრზე არ ვიყავით, თორემ არ წავიდოდითო. მათ ხმა არ მიუციათ ბურჯანაძისთვის და ახლა ამ ხალხსაც გვერდზე ვუდგავარ. უამრავი ადამიანი, ვის მხრებზეც გადაიარა ამხელა პარტიამ ამდენი წლის განმავლობაში, არაფრად არ ჩააგდეს და ყრილობაზე არ დაუძახეს. ეს ყრილობა რომ გასაიდუმლოებული იყო, ამის დასტურია ჟურნალისტთა არმიწვევაც. რას ჰქვია, პიარს არ აკეთებ და ჟურნალისტებს ამის გამო არ ეძახი? პარტიის ყრილობაა, პრეტენზია გაქვს, რაღაცას წარმოადგენ და მედიას არ ეძახი? ე.ი. მალავ რაღაცას, ასაიდუმლოებ, ასეთი რამ საქართველოშიც კი პირველად მოხდა. ნინო ბურჯანაძემ გამოიყენა პარტია, მიიღო კონკრეტული სარგებელი და კარგი იქნება, ახლა თუ გვერდზე გადგება და ჩვენს დავაში არ ჩაერევა.

მე ყველანაირი მორალური, იურიდიული და პოლიტიკური უფლება მაქვს, ვიბრძოლო და პარტია არ დავუთმო და ასეც იქნება. ჩემს გვერდით უამრავი ადამიანია, ვინც ძალიან ბევრი გააკეთა „ქდმ“-სთვის და მათი, უკაცრავად და გადაგდება მოინდომეს, თვალსა და ხელს შუა უნდათ, რომ პარტია ააცალონ. ამას ვერ გააკეთებენ. სასამართლოში შევიტანთ სარჩელს და „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ არ დავთმობთ, ამას აუცილებლად მივაღწევთ.

**„ალიას“ ცესკო-ს კომენტარიც სურდა ამ თემასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ცესკო-ს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ქეთი დანგაძე ჩავაყენე საქმის კურსში, რის შესახებ მსურდა კომენტარი. მან მითხრა, რომ ცესკო-ს პრესსპიკერს, ეკა აზარაშვილს გადასცემდა ინფორმაციას და მასთან დარეკვა მირჩია. ეკა აზარაშვილს არაერთხელ დავურეკე, მაგრამ მან ჩემს ზარებს არ უპასუხა. ამის შემდეგ, ასეთი შინაარსის სმს-ი მივწერე: „ეკა, გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი გაწუხებთ. თქვენი ან თამარ ჟვანიას კომენტარი მინდა „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო სავარაუდო გარიგებასთან დაკავშირებით. ვინც ამას აცხადებს, ისინი თამარ ჟვანიას გარიგების ხელშემწყობად ასახელებენ. გთხოვთ, მიპასუხოთ!“.**

**ეკა აზარაშვილმა არც ამის შემდეგ უპასუხა ჩემს ზარებს. თუ თამარ ჟვანია ან ეკა აზარიაშვილი მოისურვებენ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას, „ალია“ მისცემს მათ ამის საშუალებას.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოსო რობაქიძის განცხადება




„ნაციონალების“ ზეობის პერიოდში სადისტურად მოკლული ბუტა რობაქიძის მამა, სოსო რობაქიძე საქართველოს პროკურატურის მიერ მოწვეული უცხოელი პროკურორების ჯგუფთან შეხვედრას ითხოვს. „მინდა მივმართო საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, საქართველოში მყოფ უცხოელ პროკურორებს შეგვახვედრონ. ჩვენც ჩაგვრთონ ამ საქმეში. ამ ადამიანებს არაერთი პრეზიდენტი და პრემიერი პასუხისგებაში ჰყავთ მიცემული. ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას. ჩაგვრთონ ამ საქმეში და საზოგადოება დაინახავს, როგორ წარიმართება საქართველოში სამართლიანობის აღდგენა“. – აცხადებს სოსო რობაქიძე. (ივერიონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჯოზეფ ქეიმ სასამართლოს ჩვენება მისცა



„ტელეიმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე ბრალდების მხარის მთავარი მოწმე ჯოზეფ ქეი თბილისის საქალაქო სასამართლოს ნიუ-იორკიდან „სკაიპით“ ჩაერთო.

ქეის განცხადებით, „ტელეიმედის“ პოლიტიკას გიგი უგულავა განაგებდა, ფინანსურ მხარეს კი – კეზერაშვილი. „კარგი დედმამიშვილი იყავი, ფული არ მიგეცა. მოდიოდა და თვეში მილიონი მიჰქონდა საშუალოდ...“

როგორც ქეიმ აღნიშნა, 2008 წელს დავით კეზერაშვილი დაუკავშირდა და შეხვედრაზე დაიბარა: „იგი დამხვდა ხმლით ხელში, როგორც ყოველთვის, და მითხრა, რომ უნდა მიმეცა „ტელეიმედი“ მათთვის, მიშა სააკაშვილის გადაწყვეტილებით. ცოტა ხანში მან დარეკა ტელეფონზე, მომაწოდა ტელეფონი, მესაუბრა თავად სააკაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ რასაც კეზერაშვილი მეტყოდა, უნდა დამეჯერებინა. მიშამ მითხრა, რომ არაფერი შეცვლილა, ცუდად არავინ მოგეპყრობა და „ტელეიმედის“ დათმობის შემდეგაც ჩვენი მეგობარი იქნებიო. კეზერაშვილმა ჩაიღიმა და მითხრა, შენ თუ ამას არ გააკეთებ, ოთახიდან არ გაგიშვებო. მითხრა, ასევე, დაწყნარდი, არავინ შეგეხებაო“.

მისივე განმარტებით, კეზერაშვილი დაჰპირდა „იმედში“ დახარჯული თანხის უკან დაბრუნებას. კეზერაშვილთან საუბრის შემდეგ მან თანხმობა განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე და ოფისი დატოვა. მეორე დღეს კი, ქეის თქმით, გიგი უგულავამ დაურეკა და უთხრა, რომ გარკვეული დოკუმენტებისთვის ხელი უნდა მოეწერა.

„ვიკითხე, ვისზე ვაფორმებდი „ტელეიმედს“, თუმცა მან არ მიპასუხა, დრო არ მაქვსო. დეკემბრის ბოლოს ხელი მოვაწერე დოკუმენტებს. დანახარჯი ჩემი დათვლით იყო 11 მლნ დოლარი, თუმცა მათ მითხრეს, რომ ეს 10 მლნ-ს შეადგენდა... დამპირდნენ, რომ თანხას დამიბრუნებდნენ. მითხრეს, რომ მათი ფული ჰქონდა დავით იაკობაშვილს, რომელმაც ახალი რიყე გაყიდა და ამით მე ხარჯები ამინაზღაურდებოდა. თუმცა, მათი დათვლილი თანხიდანაც კი ნაწილი მომცეს, კერძოდ, 8 მლნ 800 ათასი დოლარი“, – განაცხადა ჯოზეფ ქეიმ და დასძინა, რომ „იმედის“ გასხვისების შემდეგ ის მხოლოდ 10%-იანი წილის მფლობელად დარჩა, ბადრი პატარკაციშვილთან შეთანხმებისამებრ კი, ხუთი წლის შემდეგ „ტელეიმედი“ მის ოჯახს გადასცა. (ინტერპრესნიუსი)

ბიზნესმენ ლევან ვასაძის თაოსნობით მთავრობის კანცელარიასთან 26 ივლისს, 19:30 საათზე კაზანტიპის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართება, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სოსო მანჯავიძემ განაცხადა, რომ მთავრობას თანამოაზრეებთან ერთად გადასცემენ პეტიციას. რაც შეეხება პეტიციის შინაარსს, მანჯავიძე აცხადებს: „ის ეხება „კაზანტიპის" ფესტივალის მრავალწლიან პრაქტიკას, რომელიც გამაღიზიანებელი და გარყვნილი პროპაგანდის სახელს ატარებს. ეს იყო ჩვენი და ლევან ვასაძის ერთობლივი იდეა". სოსო მანჯავიძის ეს განცხადება მიანიშნებს, რომ ე.წ. ეროვნულები წყვილდებიან და მესამე პოლიტიკურ ცენტრს აყალიბებენ. მათი მიმართულება დაანონსებულია, ეს იქნება ეროვნული და რელიგიური საკითხების დაცვა.

ლევან ვასაძის მიერ ასეთი ტიპის ღონისძიების გაპროტესტება ყოველთვის მახსენებს შალვა ნათელაშვილის უცვეთ ფრაზებს, რომელიც მან „ალიასთან" ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: ლევან ვასაძე არის ძველი სოროსელი, როდესაც მე „მხედრიონს" ვებრძოდი და პარლამენტში იარაღის აკრძალვის კანონს ვიღებდი, ლევან ვასაძე 24 საათი ჯაბა იოსელიანთან იჯდა, ეს არის ჩვეულებრივი „ჟულიკი", ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც ფული იშოვა, მოუშვა წვერი, გადაიწია თმა, ჩაიცვა ჩოხა, დადის ეკლესიაში და ცდილობს, რაღაცა ნიშა დაიკავოს. მე არ ვიცი ვასაძის ზრახვები, მაგრამ ფაქტია, ჰომოსექსუალისტებისა და გარყვნილების წინააღმდეგ რომ გამოჩნდა, მოედანი არასწორად აირჩია. ამსტერდამის ღამის ბარებში რომ „გრიალებს", იქ რატომ არ ებრძვის ჰომოსექსუალისტებს? ისეთი გაკვირვებული სახით იდგა რუსთაველზე, თითქოს პირველად ნახა ჰომოსექსუალისტები".

ეს პასაჟი ლირიკულ გადახვევად ჩათვალეთ, ახლა კი რის მიღწევა სურთ პოლიტიკოსებს და რატომ ცდილობენ ჭიქაში ქარიშხლის ატეხას. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ, ექსპერტები არ გამორიცხავდნენ, რომ „კაზანტიპი" არ შეიძლებოდა გამხდარიყო მღელვარების საგანი, რასაც პოლიტიკოსები სათავისოდ გამოიყენებდნენ. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ადვილია რელიგიური და ეროვნული თემებით მანიპულირება. საქმე ისაა, რომ ამ ფესტივალის მოწინააღმდეგეები დეტალურ ინფორმაციას არ ფლობენ და არც აქვთ სურვილი, სიღრმისეულად ჩაეძიონ, რას ნიშნავს „კაზანტიპი". არადა, სინამდვილეში, ეს მამაკაცები პირველები გავარდებიან ასეთი ტიპის ფესტივალზე და დიდ სიამოვნებასაც მიიღებენ. და მაინც, რა არის „კაზანტიპი" და რატომ უნდა ეშინოდეს ქართველ ხალხს ამ ფესტივალის გამართვის? „კაზანტიპი" – ეს გახლავთ ყოველწლიური ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალი, რომელიც 1992 წლიდან 2013 წლის ჩათვლით უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე იმართებოდა. თუმცა რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ გადაწყდა, რომ 2014 წელს ფესტივალი საქართველოში, კერძოდ, ანაკლიაში გაიმართოს. აქ დასასწრებ ბილეთს ეწოდება „ვიზა", ფესტივალი ყოველ წელს სხვადასხვა ვადით ტარდება. ყოველწლიურად მას 150 ათასი ადამიანი სტუმრობს. ფესტივალთან ასოცირებულია ნარინჯისფერში გადაწყვეტილი მოდისა და ჩემოდნების კულტი. „კაზანტიპის" ფესტივალი ანაკლიაში 20-30 აგვისტოს ტარდება და ქართველი გოგონები უვიზოდ შევლენ, ხოლო მამაკაცებისთვის „კაზანტიპზე" შესვლის საფასური იქნება 200-დან 250 დოლარამდე. ყირიმში „კაზანტიპის" ფესტივალს პოლიცია აკონტროლებდა, თუმცა ამის მიუხედავად მოიხმარდნენ ნარკოტიკებს, საქართველოს შემთხვევაში კი მკაცრი მოთხოვნაა, რომ კლუბებსა და ბარებში ნარკოტიკი არ გაიყიდოს. ქართველი ხალხი აპროტესტებს იმ მოსალოდნელ ორგიებს და გარყვნილებას, რაც ამ ტიპის ფესტივალების ლოგიკური დასასრულია, თუმცა აქვე ქართველ პოლიტიკოსებს ყველა საღამოს რომ გაესეირნათ თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე, იმაზე უარესს ნახავდნენ, რაც „კაზანტიპზე" ხდება და სხვა ამ ტიპის ფესტივალებზე, რომელიც მსოფლიოში აპრობირებულია. ამ საკითხი მოვაჭრე პოლიტიკოსები თვლიან, რომ ის არის ელიტარული ღონისძიება, სადაც უფულო ვერ შევა. ჩვენი ინფორმაციით, სამეგრელოში ახალგაზრდები უკვე დიდი ხანია ემზადებიან ამ ღონისძიებაზე დასასწრებად და სენაკელები, აბაშელები და ზუგდიდელები ყველაფერს ყიდიან იმისათვის, რომ ამ ფესტივალს დაესწრონ.

მწერალი მერაბ შათირიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს თხოვნით არ დაუშვას „კაზანტიპის" ფესტივალი ანაკლიაში. მიმართვაში წერია: „არასოდეს ვიფიქრებდი პროტესტის ნიშნად თუ იმ შენობასთან მივიდოდი საერთო პრობლემასთან დაკავშირებით და უკმაყოფილებას გამოვხატავდი, რომელშიც პრემიერ-მინისტრის რანგში ზიხარ და ჩემს ქვეყანას მართავ, რაშიც ცოტაოდენი წვლილი ყველა შენს თანამებრძოლს მიგვიძღვის. ხდება დაუჯერებელი რამ, რაც „ნაციონალებმა" ვერ გაბედეს და ვერ აკადრეს ქართველ ხალხს, ამას კადრულობს ამჟამინდელი პარლამენტი და ამჟამინდელი სამინისტრო. ჯერ იყო ანტიდისკრიმინაციული კანონი, ახლა „კაზანტიპის" მოსალოდნელი ფესტივალი ანაკლიაში იმ ზღვართან, რომლის გადაღმა ჩვენი ძმები აფხაზები ცხოვრობენ და ჯერჯერობით საერთო მოყვრული ენა ვერ გამოგვინახავს, „კაზანტიპის" ენით ვესაუბრებით თუ თავს ვაწონებთ კავკასიური ადათ-წესების მოარსებე მოძმე ხალხს. რა ხდება, ეს არის გზა ევროპისკენ?!. არა, ჩემო ირაკლი, ესაა გზა უფსკრულისკენ, ქართველი საზოგადოების გახლეჩისკენ, ქართული სულისა და მეობის შეურაცხყოფისკენ, თუნდაც არ ხდებოდეს ამ „კაზანტიპის" ფესტივალზე ქართველთათვის საგანგაშო რამ და ერთმნიშვნელოვან ნაწილს გადაჭარბებულად ეჩვენებოდეს ამგვარი საზეიმო კონცერტის აზრი, საკმარისი არ არის ქართველ საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით ორად გაყოფა?!. ეს ხომ საზოგადოების გახლეჩას ნიშნავს.."

# რა პეტიცია გაუგზავნეს პრემიერ ღარიბაშვილს

## პასუხს 26 ივლისის ვასაძის ორგანიზებულ ხალხმრავალ აქციაზე ელოდებიან




**„ძალიან მაცდური შეკითხვაა, სიმართლე გითხრათ, შეიძლება სულაც არ არის საგანგაშო, მაგრამ რადგანაც ხალხში დაანონსებულია ისე, რომ ეს არის საგანგაშო და ხალხი ამას ეწინააღმდეგება, ხალხის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული და არ უნდა ჩატარდეს „კაზანტიპის" ფესტივალი"**



**„ამ აქციის ორგანიზატორები არიან ლევან ვასაძე და ზვიად ტომარაძე, ეს არ იქნება აქცია, სადაც ვილაცა ვილაცის კარს შეამტვრევს, ამ აქციაზე მე მივდივარ იმიტომ, რომ იმედს ვიტოვებ, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი „კაზანტიპის" ფესტივალს არ გამართავს თავის ქვეყანაში, რომელიც საზოგადოებაში გამოიწვევს უკმაყოფილებას"**

ამ ქვეყანაში ყოველთვის მოიძებნება საბაბი პოლიტიკოსებისთვის, რომ სკანდალი ააგორონ. მოდით ახლა, ვნახოთ, რა საგანგაშო სიგნალს ხედავს **მერაბ შათირიშვილი** „კაზანტიპის" ფესტივალში?..

**— ბატონო მერაბ, რაც თქვენს ცხოვრებაში არ გაგიკეთებიათ, რაც არ გინახავთ, რისი სურვილიც არ გქონიათ, იმაში საგანგაშოს რას ხედავთ, რა**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ციხეებში, არავითარი ე.წ. მაყურებლები არ არსებობენ"




არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის" ხელმძღვანელი, გრიგოლ გაგნიძე, „საიას" მიერ გავრცელებულ იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე.წ. ციხის მაყურებელთა არსებობას შეეხებოდა.

„პირდაპირ ვერ ვიტყვი, რომ ეს ინფორმაცია სიცრუეა, მაგრამ შეიცავს არასწორ ინფორმაციას. ციხეებში, დღეს, ბევრად უფრო თავისუფლებაა, ვიდრე 2-3 წლის წინათ იყო, იმაზე საუბარი, რომ გლდანის ციხეს ე.წ. მაყურებლები მართავენ, მცდარი ინფორმაციაა.

ციხის ადმინისტრაციაზე გამწარებულმა პატიმარმა შეიძლება ბევრი რამ დაწეროს, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს „საიაც" და საგამოძიებო უწყებები და არ შეიძლება ამ პატიმრის საჩივრის საბაბით გამოძიება დაიწყოს. პატიმრებს შორის ყოველთვის ხდება კონფლიქტი და ეს არ ნიშნავს, რომ ციხეში ე.წ. მაყურებლები არსებობენ. არავითარი მაყურებლები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ არსებობენ". – განაცხადა გაგნიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „საქმეში უცხოელი ექსპერტების ჩართვას არ ვითხოვთ"



ზურა კიწმარიშვილის განმარტებით, „საქართველოში პროკურატურის მოწვევით ჩამოსული გერმანელი ექსპერტების ჯგუფს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმესთან კავშირი არ აქვს".

„მოგეხსენებათ, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროკურატურამ საქართველოში გერმანელი ექსპერტების ჯგუფი მოიწვია და ეს უცხოელი სპეციალისტები შესაძლოა, ჩემი ძმის გარდაცვალების საქმეში ჩაერთოთ. მე ეს ინფორმაცია პირადად გადავამოწმე, პროკურატურის წარმომადგენლებს შევხვდი და მათ ამიხსნეს, რომ ამ ექსპერტებს ჩემი ძმის გარდაცვალების საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მინდა გითხრათ, რომ არ ვართ წინააღმდეგნი, თუ პროკურატურა უცხოელ ექსპერტებს ჩართავს, თუმცა დამოუკიდებლად ამისა, ჩვენ გამოძიებას ვენდობით და უცხოელი სპეციალისტების ჩართვის მოთხოვნით უწყებას არ მივმართავთ", – განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა. (რეპორტიორი)

### პირველკლასელები წელს ნაკლებწონიან წიგნებს მიიღებენ



პირველკლასელები წელს ახალი ტექნოლოგიით დაბეჭდილ სახელმძღვანელოებს მიიღებენ. წიგნები განსხვავებულ ფურცლებზე იქნება დაბეჭდილი და გაცილებით ნაკლები წონა ექნება.

განათლების მინისტრის განცხადებით, მოსწავლეებისთვის გადასაცემი წიგნების შეკვრაში, როგორც ახალი, ასევე მეორადი წიგნები იქნება და ისინი თანაბარი რაოდენობით გადანაწილდება.

მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემა სამინისტროს 12-13 მილიონი ლარი დაუჯდება. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

*მეცხრე გვერდიდან*

**გაძლევთ საფუძველს? მოსაწვევი რომ გამოგიგზავნონ, „კაზანტიპის" ფესტივალს არ დაესწრებით?**

– ძალიან მაცდური შეკითხვაა, სიმართლე გითხრათ, შეიძლება სულაც არ არის საგანგაშო, მაგრამ რადგანაც ხალხში დაანონსებულია ისე, რომ ეს არის საგანგაშო და ხალხი ამას ეწინააღმდეგება, ხალხის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული და არ უნდა ჩატარდეს „კაზანტიპის" ფესტივალი.

**— ვინ არის ის ხალხი, ვინც ამ ფესტივალში საგანგაშო ნიშნებს ამჩნევს და რაო, რას ამბობენ?**

– ხალხს ეს წარმოუდგენია როგორც გარყვნილების მობილიზაცია.



„ღარიბაშვილის თანამებრძოლები ვართ და ის სხვაზე ნაკლები ქართველი არ არის, ის არავისზე ნაკლები ქართული სულისა და ჯიგარის მატარებელი არ არის, არ უნდა გააკეთოს ის, რაც განხეთქილებას შემოიტანს საზოგადოებაში. როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, ჯერ იმას მიხედონ"

**— ისე, ის ხალხი, ვინც ამას ამბობს, იქნებ იმათზე მეტი გარყვნილია, ვინც ამ ფესტივალს ესწრება? როცა საუბარია, რომ არის საშიშროება ნარკოტიკების მოხმარების, ქობულეთისა და ბათუმის პლაჟებზე რატომ ყრია მოხმარებული შპრიცები? როცა საუბრობთ, რომ იქ ორგიები იქნება, დანარჩენ შავიზღვისპირეთში ეს რატომ ითვლება ჩვეულებრივ აქტად?.. მაშინ ამ ლოგიკით მორალის პოლიცია დავაწესოთ და ყველას საჯაროდ ავუკრძალოთ ამ ტიპის ქმედება, რაც ძალიან ხშირია.**

– თქვენი კითხვა ლოგიკურია, ქვა იმან უნდა ისროლოს, ვინც წმინდაა, მაგრამ ამაზე არ არის საუბარი, მესმის, რასაც ამბობთ, რა თქმა უნდა გარყვნილება ხდება „კაზანტიპის" ფესტივალის გარეშეც, შეიძლება ადამიანი მივიდეს ამ ფესტივალზე და ისიამოვნოს ჩვეულებრივად, არაფერი უზნეობა არ მოხდეს და წამოვიდეს. ხომ არ შეიძლება ყველაფერ გარყვნილებას ლეგალიზაცია გაუკეთდეს? თქვენ მოგწონთ, როცა ადამიანები მრუშობენ, იპარავენ, მოგწონთ ის, რაც ადამიანური ცოდვაა?

**— მე ვინ ვარ, რომ ისინი განვსაჯო?**

– არა, არ უნდა განსაჯოთ, მაგას არ ვითხოვ, რომ ისინი განსაჯოთ. საქმე ისაა, რომ „კაზანტიპის" ფესტივალი ანაკლიაში იმართება, ჩვენი მოძმე აფხაზეთის გვერდით და შეიძლება მათ ეს უარყოფითად ახსნან. ჩვენ ძალიან გავცდით კავკასიურ ადათ-წესებს და ამას ჩვენ სხვანაირად შემოგვიტრიალებენ. ვიმეორებ, ამ გარყვნილების ლეგალიზება არ არის საჭირო, საზოგადოება ამ ტიპის ფესტივალის ჩასატარებლად მზად არ არის.

**— ბატონო მერაბ, თბილისის ზღვის მოსახლეობა რომ შეწუხებულია ყოველ ღამით „კაზანტიპის" ცქერით, იქნებ აქედან დავიწყოთ საქმის მოგვარება, თუ ეს პოლიტიკურ ქულებს არ ჩაგიწერთ?**

– მე სულაც არ მომწონს ის, რაც თბილისის ზღვაზე და ლისის ტბაზე ხდება, ეს სხვათა შორის ცივილიზებულ ქვეყნებში არ არის მიღებული, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მაგრამ საქმე ისაა, ჩვენ არ ვართ ის ერი, რომელიც მშვიდად მიიღებს გარყვნილების ფესტივალს.

**— თქვენი გადასახედიდან მაინტერესებს, რა ერი ვართ, ვინ ვართ და რაზე გვაქვს პრეტენზია?**

– ქართველები ვართ წვალებული ერი, ჩვენ ვწვალობთ სიკეთესა და ბოროტებას შორის, მუდმივად გვებრძვის ბოროტება, ეს არის გარე და შიდა მტერი, მუდმივად ვართ ამ წვალებაში. ახლა რა ვქნათ, გარყვნილებით დავასრულოთ ჩვენი არსებობა? რა საჭიროა გარყვნილების დემონსტრირება. მოდით, ნუ ჩავატარებთ ანაკლიაში „კაზანტიპის" ფესტივალს, რადგან საზოგადოება არ არის მზად და ღმერთმა ნუ მოამზადოს ქვეყანა ასეთი ტიპის გარყვნილებისთვის. მესმის, რომ ვერავის დაუშლი გართობას, მაგრამ წარმოიდგინეთ, ერთ დღესაც ფილარმონიის დარბაზი გადაიქცეს „კაზანტიპის" ადგილად, ეს ხომ მიუღებელი იქნება?

**— თქვენ ხომ გაქვთ პრეტენზია, რომ ხართ მოაზროვნე და განათლებული, დეტალურად ამიხსენით, რა ინფორმაციას ფლობთ „კაზანტიპის" შესახებ და ნამყოფი ხართ თუ არა ამ ფესტივალზე?**

– მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ „კაზანტიპის" ფესტივალზე ჩამოჰყავთ 5000-მდე უკრაინელი ქალბატონი, ამ ფესტივალზე ქალბატონების დასწრება იქნება უფასო, მამაკაცები იხდიან 200 დოლარს, აშენებენ ერთჯერად კოტეჯებს, ამ ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ არ შეიტანენ ფესტივალზე ნარკოტიკს, ჩამოჰყავთ დიჯეები. ეს არის, ფაქტობრივად, შოუ, სადაც აკეთებენ დიდ ფულს. ასეთი რამეები „ნაციონალებსაც" კი არ გაუბედავთ...

**— ამაში ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, რომ „ნაციონალებს" ამდაგვარი რამ არ გაუბედავთ. პირდაპირ პრეზიდენტი სააკაშვილი ეპატიჟებოდა ახალგაზრდებს ბუჩქებში. „პატრიოტთა ბანაკები" რა იყო? მთელი მათი მოღვაწეობა ემსახურებოდა გარყვნილების ტირაჟირებას და თუ ამ კონკრეტულ ფესტივალზე ვლაპარაკობთ, სააკაშვილის დროს ყირიმის ანექსია არ მომხდარა, თორემ დიდი სიამოვნებით ჩაატარებდა.**

– მტერმა დაიცვას „ნაციონალები", მაგრამ ვიმეორებ, ეს არის თემა, რომელსაც სჭირდება მორიდება. ხელისუფლებამ არ უნდა ჩაატარებინოს ის ღონისძიება, რომელიც ხალხში იწვევს აგრესიას, რაც საზოგადოებას გაყოფს.

**— რატომ ძაბავთ პოლიტიკურად სიტუაციას, როცა ისედაც ბევრი პრობლემაა ქვეყანაში?**

– ეს კითხვა თქვენ უნდა დაუსვათ სახელმწიფოს და ტურისტულ სააგენტოს, რომელიც ამ ღონისძიების ორგანიზატორია. ჰკითხეთ, რატომ ჰკიდებს ხელს ისეთი ტიპის ღონისძიებას, რომელიც საზოგადოებაში პროტესტს გამოიწვევს, იმ საზოგადოებაში, რომელიც ამისთვის დღეს არ არის მომწიფებული. მოსახლეობის 70% გაჭირვებულია, ამ ღონისძიებაზე მდიდარის შვილი წავა და გაერთობა, ხოლო ღარიბი, დახეული შარვალი რომ აცვია და სახლიდანაც ვერ გამოდის, ის იქ ვერ აღმოჩნდება. რა გვეკაზანტიპება, მთავრობამ სოციალურ პრობლემებზე იფიქროს. ეს ფესტივალი არის ელიტარული ახალგაზრდობისთვის, სადაც კეთდება დიდი ფული.



**„მოსახლეობის 70% გაჭირვებულია, ამ ღონისძიებაზე მდიდარის შვილი წავა და გაერთობა, ხოლო ღარიბი, დახეული შარვალი რომ აცვია და სახლიდანაც ვერ გამოდის, იქ ვერ აღმოჩნდება. რა გვეკაზანტიპება, მთავრობამ სოციალურ პრობლემებზე იფიქროს. ეს ფესტივალი არის ელიტარული ახალგაზრდობისთვის, სადაც კეთდება დიდი ფული"**

**— ბატონო მერაბ, თქვენ პრემიერ-მინისტრს მიმართვა გაუგზავნეთ, რომ არ დაუშვას ამ ფესტივალის ჩატარება, როგორ უნდა მოიქცეს პრემიერი?**

– მე და ირაკლი ღარიბაშვილი თანამებრძოლები ვართ და ის სხვაზე ნაკლები ქართველი არ არის, ის არავისზე ნაკლები ქართული სულისა და ჯიგარის მატარებელი არ არის, არ უნდა გააკეთოს ის, რაც განხეთქილებას შემოიტანს საზოგადოებაში. როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, ჯერ იმას მიხედონ, არჩევნებზე მონაწილეობაზე მოსახლეობის 70%-მა უარი თქვა. ხომ უნდა დაფიქრდნენ, რატომ?.. ეს ხალხი გაბრაზებულია იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებისგან მეტს ელოდა. იმის მაგივრად, რომ ამათ მიხედონ, ყურადღება გადადის „კაზანტიპის" ფესტივალზე.

**— ბიზნესმენ ლევან ვასაძის თაოსნობით მთავრობის კანცელარიასთან 26 ივლისს იმართება „კაზანტიპის" წინააღმდეგ საპროტესტო აქცია, სადაც თქვენც მონაწილეობთ. ხომ არ დაიწყეთ ფიქრი ამომრჩეველთა იმ 70%-ის გულის მოგებაზე, ეროვნული თემების მანიპულირებით მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას ფიქრობთ?**

– მე ამ საინიციატივო ჯგუფთან არანაირი მოლაპარაკება არ მაქვს, რომელიც „კაზანტიპის" წინააღმდეგ საპროტესტო აქციას გეგმავს, რაც შეეხება მესამე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას, ეს უნდა იყოს ქართული ძალა, თუ მე ამას შევძლებ, ენერგიასა და სიცოცხლეს არ დავიშურებ, რომ შეიქმნას ჯანსაღი ეროვნული ძალა. სამწუხაროდ, სახელისუფლო პარტიაში ვერ დავინახე ის ძალა და მოტივაცია, რომ ქვეყანა წაიყვანოს სწორ გზაზე. ამ აქციის ორგანიზატორები არიან ლევან ვასაძე და ზვიად ტომარაძე, ეს არ იქნება აქცია, სადაც ვიღაცა ვიღაცის კარს შეამტვრევს, ამ აქციაზე მე მივდივარ იმიტომ, რომ იმედს ვიტოვებ, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი „კაზანტიპის" ფესტივალს არ გამართავს თავის ქვეყანაში, რომელიც საზოგადოებაში გამოიწვევს უკმაყოფილებას. ხალხმა აირჩია ისინი, ხალხისაა კონსტიტუცია და ხალხს ეკუთვნის ხელისუფლება.

**— იცით, რა მაინტერესებს? სად წერია კონსტიტუციაში, რომ დასაშვებია ადამიანთა დისკრიმინაცია? თუ ვინმეს იქ მისვლა უნდა, ამ უფლებას რატომ ართმევთ? მინიმუმ 100 ათასი კაცი უნდა შემოგიერთდეთ ამ აქციაზე, რომ პრემიერმა „კაზანტიპის" ფესტივალის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღოს. სხვა შემთხვევაში, რატომ უნდა დაჰყვეს თქვენს ნებას?**

– თუკი 26 ივლისს არ მოვა აქციაზე საკმარისი ოდენობის ხალხი, ჩავთვლით, რომ ღირსების დამცველი ხალხი საქართველოში არ ყოფილა. მაშინ ხელისუფლებას ჰქონია უფლება, რაც უნდა ის გააკეთოს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „კუბლაშვილი დღესაც ასრულებს მიშასა და „ნაცების" ყველა დავალებას"



საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი კოკა ყანდიაშვილი სოციალური ქსელის მეშვეობით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს აკრიტიკებს.

„ეს ვინ არის? ვინ იყო? ან ვინ იქნება??? ეს რომ საქართველოს სასამართლოს ხელმძღვანელობდა (დღესაც ხელმძღვანელობს), აი, ზუსტად მაშინ გაჩნდა ქვეყანაში ასეულობით პოლიტპატიმარი, ათასობით უკანონოდ დაპატიმრებული, შემდგომში ამნისტირებული, ნაწამები ადამიანი. ამან შექმნა სასამართლო, რომელმაც დაასამარა იმის ილუზიაც კი, რომ სამართალს იპოვი სააკაშვილის საქართველოში. უკვე 2 წელი ხდება, შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ეს სუბიექტი კვლავ ოლიმპზეა, მისი ძმაც და მათი მოსამართლეებიც.

ხალხნოოო, ნუ ამიხსნით ამ ამბავს დემოკრატიის ინტერესებით. ეს უკანონობისა და დაუსჯელობის სიმბოლოა!!! და არ არსებობს არგუმენტი, რომელიც ამართლებს ამ თავხედი ბოროტმოქმედის თანამდებობაზე დატოვებას!!!

ხომ ზუსტად იცით ყველამ, რომ კოტე ასრულებდა და დღესაც ასრულებს მიშასა და „ნაცების" ყველა დავალებას. რა კანონი და რა სამართალი, ამაზრზენია ეს სიბნელე!!!", – წერს ყანდიაშვილი „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია გაამართლა

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმეზე უცვლელი დატოვა.

ამის შესახებ გვარამია „ფეისბუკზე" წერს:

„სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ყველანი გამართლებულები ვართ", – წერს გვარამია.

14 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიასა და მასთან ერთად ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. გამოძიება მათ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სამოხელეო, სამეწარმეო და ეკონომიკურ დანაშაულს ედავებოდა. სასამართლომ ყველა ბრალდებული მათ მიმართ წარდგენილ ყველა ბრალდებაში უდანაშაულოდ მიიჩნია. (ნიუპოსტი)

## ბათუმის სანაპიროსთან 23 წლის მამაკაცს ეძებენ



ბათუმში სამძებრო სამუშაოები გრძელდება. მაშველები სანაპიროდან გაუჩინარებულ 23 წლის მამაკაცს ეძებენ. აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, მამაკაცის ტანსაცმელი და პირადი ნივთები სანაპიროზე 23 ივლისს, საღამოს იპოვეს.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით, 23 წლის მამაკაცი ქობულეთშია დაბადებული და ბათუმში, ანგისის დასახლებაში ცხოვრობს. (ნიუპოსტი)

# შალვა ხაჭაპურიძე: „უცხოელი პროკურორების მუშაობის შედეგი იქნება ის, რომ პროკურატურა გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან“



**მსოფლიოში ცნობილი პროკურორების ჩამოსვლის შემდეგ (ვისზეც უკვე ძალიან ბევრი დაიწერა), საქართველოში უკვე ბევრს გაუჩნდა იმედი, რომ მიხეილ სააკაშვილი სულ მალე გისოსებს მიღმა აღმოჩნდება. შეიძლება ეს ცოტა გადაჭარბებული წარმოდგენებია, შეიძლება ჩვენ ამ პროკურორებზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, საკონსულტაციო ჯგუფს დაეხმარონ და სააკაშვილის წინააღმდეგ დოკუმენტებიც გადასცენ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ცნობილი ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე. ალბათ, გახსოვთ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მან შექმნა საქმე სააკაშვილის დანაშაულების შესახებ და გადასცა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს. ვინაიდან, 2013 წლის ბოლომდე სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო და ბუნებრივია, მისი გასამართლების პოლიტიკური ნება ვერ იარსებებდა, ამ საქმეზე არც ყოფილა შესაბამისი რეაგირება.**

**როგორც შალვა ხაჭაპურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, უკვე დადგა დრო, მიხეილ სააკაშვილი გასამართლდეს საკუთარ გარემოცვასთან ერთად:**

– მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ამ ყველაფრის მიზანი არის ის, რომ მოხდეს სამართლის გამიჯვნა პოლიტიკისგან. ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა. როცა სამართალი და პოლიტიკა ერთმანეთშია არეული, რაც არ უნდა ობიექტური იყოს გამოძიება, მაინც ჩნდება კითხვები საზოგადოების მხრიდან.

სხვათა შორის, როცა ბადრი პატარკაციშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა და მე ვიყავი მისი იურიდიული სამსახურის უფროსი, ჩვენ მაშინ ერთ-ერთ ადვოკატად ლონდონში ავიყვანეთ ინგლისის ყოფილი გენპროკურორი. მიუხედავად ამ კაცის პროფესიონალიზმისა, „ნაციონალებთან“ ჭიდაობა როგორც დამთავრდა, ყველამ კარგად ვიცით. ალბათ, გახსოვს, ერთხელ ბადრი გამოვიდა და თქვა, ჩემი ჯიბიდან ბოლო თეთრს დავხარჯავ და ამ ხელისუფლებას დავასრულებო, მერე იყო საუბარი იმ პროექტებზე, რომელთა დაფინანსებასაც თავისი ფულით აპირებდა. ეს ჩანაწერი გადმოიგზავნა, სეიფში ჩავკეტეთ, იმ წუთში „სკაიპის“ საშუალებით დავუკავშირდი ლონდონში და ვუთხარი, თუ ამას ეთერში გავუშვებთ, „ნაციონალები“ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ და შეიძლება რეგისტრაციიდან მოგვხსნან, რასაც თქვენ ლაპარაკობთ, კანონმდებლობით აკრძალულია-მეთქი. აუ, რას ლაპარაკობო, აგერ მიზის ინგლისის ყოფილი გენპროკურორი, ყველაფერი მასთან არის გავლილი, პრობლემა არ არსებობსო. მერე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მართლაც იჩივლა, დღეს თავმჯდომარე რომ ჰყავთ, კოჟორიძე, ეგ გამოდიოდა სასამართლოში ბადრის წინააღმდეგ, ამომრჩევლის მოსყიდვას აქვს ადგილიო. მართალია, მაშინ ბადრის კანდიდატურა არ მოხსნეს, მაგრამ უარესი კი დამართეს. ეს ისტორია იმიტომ მოვყევი, რომ უცხოელი ექსპერტებისა და პროკურორების ჩამოყვანა კარგია, რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ჩვენ თვითონაც თუ არ გავანძრიეთ ტვინი, მარტო ისინი ვერ გვიშველიან.

ერთი ქართველი პროფესორი იყო, თენგიზ სოლუაშვილი, რომელმაც სამოქალაქო კოდექსი დაგვიწერა და დღეს ამით ვხელმძღვანელობთ. სულ ამბობდა ხოლმე: ხანდახან რომ დამიჯერონ, ჩემს აზრს სხვას მივაწერ ხოლმე, ამა და ამ გერმანელმა პროფესორმა ასე თქვაო. სინამდვილეში ჩემი ნათქვამია, მაგრამ ასე უფრო მიჯერებენო. ახლაც ასეთ სიტუაციაში ვართ, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ევროპა და ამერიკა არ გიჯერებს. აი, ამიტომ გახდა საჭირო უცხოელი პროკურორების მოწვევა, მათ ძალიან კარგად იციან, სად მთავრდება პიარი, სად იწყება პოლიტიკა და სად არის ჩადენილი დანაშაული. კარგი იქნება, თუ მათ მიერ შექმნილ კომისიაში ქართველი იურისტები და მეცნიერებიც ჩაერთვებიან, უცხოური გამოცდილება კარგია, მაგრამ ეს საქართველოა, ჩვენ სხვა რეალობაში ვიმყოფებით. ახლა რომ ატეხეს ერთი ამბავი „ნაციონალებმა“, ციხეები გადაშავდა, „კანონიერი ქურდები“ „ბლატაობენო“, მოიწვიონ ამერიკიდან სპეციალისტები, აქედანაც მიავლინონ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები და გადავიდეთ ამერიკულ მოდელზე, ევროპული მოდელი საქართველოში ვერ იმუშავებს, მე ასე მგონია.

**— შალვა, არსებობს მოსაზრებები, რომ დასავლეთმა ჩვენს ხელისუფლებას მწვანე აუნთო, ანუ ვინც დასასჯელია, სააკაშვილის თამადობით, უნდა დაისაჯოს.**

– ზოგიერთი იმასაც ლაპარაკობს, ეგენი „ნაციონალების“ „გასაპრავებლად“ ჩამოიყვანესო. ეს გამორიცხულია, თუ ასეთი რამ მოხდება, ეს იქნება კოალიციის საბოლოო კრახი, საპარლამენტო არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და „ქართული ოცნება“ მიიღებს სავალალო შედეგებს. მე გეტყვი, რა მოხდება უახლოეს ხანში: უცხოელი პროკურორების მუშაობის შედეგი იქნება ის, რომ პროკურატურა გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან. უახლოეს ხანში კონსტიტუციაში შევა საამისო ცვლილება. იმ ადამიანებისგან, ვინც დანაშაული ჩაიდინა და აქვთ საეჭვო წარსული, პროკურატურის სისტემა გაიწმინდება და პროკურატურა დადგება ფეხზე. რაც შეეხება სააკაშვილის დასჯას, თუ ის პასუხს არ აგებს, მაშინ ეს ხელისუფლება შეეწირება მიშას. აქ სააკაშვილზეც იქნება ლაპარაკი და სხვებზეც. ალბათ, გახსოვს, მე სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელი მაქვს შეტანილი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში, აქამდე ურთიერთობა მქონდა პროკურორთან, ლუის მორინო ოგამბოსთან, ახლა სხვა პროკურორი დანიშნეს და უკვე მასთანაც მაქვს ურთიერთობა. ახლა მინდა, იგივე საქმე გადავცე საქართველოში მოწვეულ პროკურორებს. თუ მათ მართლაც უნდათ, რომ სწორი გზით წავიდნენ და ბოლოს ლუზა სააკაშვილთან ჩაუშვან, ჩემ მიერ შექმნილი საქმე ამისთვის ძალიან კარგი გზამკვლევია.

**— ეს კარგი აზრია, თან გამოჩნდება, როგორი რეაგირება ექნებათ.**

– ჩემ მიერ მოპოვებულ დოკუმენტებში ყველაფერი არის ასახული თანმიმდევრულად, თუ დაინტერესდებიან და კარგად ჩაიხედავენ, ექნებათ სრული სურათი. გარდა ამისა, მე მათ დავუდებ დიაგნოზს, რა ხდებოდა საქართველოში წლების განმავლობაში და რა ჩაიდინა მიხეილ სააკაშვილმა.

**— გაქვს იმედი, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ? მაშინ გამოდის, რომ ჯერ მთავარმა პროკურატურამ უნდა მიიღოს.**

– როგორც ვიცი, საკონსულტაციო ჯგუფი იმუშავებს მთავარ პროკურატურაში, რა წესებიც თვითონ ექნებათ, იმ წესების მიხედვით ჩავაბარებ და ვნახოთ, რა რეაქცია ექნებათ, ან რა მსვლელობას მისცემენ. ამ შემთხვევაში ეს საქმე ჩვენმა პროკურორებმაც უნდა გადასინჯონ და ბევრ საინტერესო დეტალს იპოვიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მძივივით აკინძული საქმე და არა მხოლოდ ფაქტებია დაფიქსირებული დოკუმენტურად, არამედ კონკრეტული სამართლებრივი დარღვევებიც კი არის მითითებული მუხლობრივად.

**— შალვა, სანამ ამ საქმეს ჰააგაში წაიღებდი, საქართველოში რამე პროცედურა გაიარე?**

– არა, არავითარი პროცედურის გავლა არ არის საჭირო, ჩავიტანე და ჩავაბარე ჰააგის სასამართლოს პროკურორს. მე ჯერჯერობით არ ვიცი, აქ კონკრეტულად ვის უნდა ჩავაბარო, მაგრამ ეგ არ გამიჭირდება, ყველა დეტალს უახლოეს დღეებში გავარკვევ.



„სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ევროპა და ამერიკა არ გიჯერებს. აი, ამიტომ გახდა საჭირო უცხოელი პროკურორების მოწვევა, მათ ძალიან კარგად იციან, სად მთავრდება პიარი, სად იწყება პოლიტიკა და სად არის ჩადენილი დანაშაული“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიუჯეტის თანხის მითვისების გამო სამი პირი დააკავეს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე დავით თაბაგარი, ამირან ცინაძე და მოჰამად რეზა ჯალალი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დავით თაბაგარმა, ამირან ცინაძემ და მოჰამად რეზა ჯალალმა იმისთვის, რომ საქონლის იმპორტირებისას ბიუჯეტის კუთვნილი თანხა არ გადაეხადათ და სახელმწიფოს ვერ მოეხდინა დარიცხული გადასახადის ამოღება, სოციალურად დაუცველ და ხანდაზმული ასაკის მქონე პირებს სხვადასხვა შპს-ები დააფუძნებინეს. აღნიშნული შპს-ები საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვისას გადახდის უუნარონი არიან და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით სცადეს ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მითვისება. აღნიშნული საწარმოების სახელით, ირანის რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტირებული იქნა დიდი ოდენობით ნავთობპროდუქტი ბიტუმი, საქონლის განბაჟებიდან კანონით დადგენილი ვადის, 5 დღის გასვლის მიუხედავად, ზემოაღნიშნულმა პირებმა არ გადაიხადეს იმპორტის გადასახადი, რითაც, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ოდენობის, 345 774 ლარის ზიანი მიადგა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

გარდა ამისა, საგამოძიებო სამსახური კვლავ აგრძელებს აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების გამოსავლენად“. – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ღარიბაშვილი საკომიტეტო სხდომებს დაესწრება



პარლამენტის კომიტეტები 25 ივლისიდან მთავრობის ახალ შემადგენლობაზე მსჯელობას იწყებს, რომელსაც მინისტრობის მომავალი კანდიდატები და მოქმედი მინისტრებიც დაესწრებიან.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის განცხადებით, მთელი დღის განმავლობაში კომიტეტების გაერთიანებული სხდომები ჩატარდება, რომელსაც ყველა სამინისტროს ხელმძღვანელი დაესწრება. შეხვედრები გაიმართება საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებთანაც.

მინისტრებთან ერთად სხდომებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც დაესწრება. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## უგემური კერძების გამო, ამერიკელმა რესტორანი... დაწვა



მთლად დაწვის თუ არა, მზარეულისთვის და რესტორნის მფლობელისთვის ცხვირ-პირის მინაყვის სურვილი ერთხელ მაინც ხომ გაგჩენიათ, უგემური კერძების გამო? არა? ყოჩაღ, მაშინ, მაგარი წერტილისთვის მიგიგნიათ, რასაც ვერ ვიტყვით ერთ ამერიკელზე, რომელსაც სამართალდამცველებთან საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა.

ეს ტრაგიკომიკური შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი ჯორჯიის შტატის ქალაქ ობლანში მოხდა – უგემური კერძებით უკმაყოფილო კლიენტმა რესტორანს ცეცხლი წაუკიდა.

მართალია, პოლიციამ ხანძრის ფაქტი დროულად გამოავლინა და სახანძროც მალევე გამოიძახა, მაგრამ რესტორანი მაინც მნიშვნელოვნად დაზარალდა.

თავდაპირველად სამართალდამცველები ფიქრობდნენ, რომ ხანძარი სადენების გამო გაჩნდა, მაგრამ გამოძიებამ ისინი სულ სხვა გზით წაიყვანა და ერთ-ერთი ადგილობრივის სახლის კარზე დააკაკუნებინა.

თურმე, ინციდენტის წინა დღით რესტორანში ნამდვილი სკანდალი მოაწყო ერთ-ერთმა კლიენტმა, რომელიც კერძის გემომ არ დააკმაყოფილა. როცა რესტორნის მესვეურებისგან გადახდილი თანხის დაბრუნებაზე უარი მიიღო, დაიმუქრა, რომ შენობას „ახალ დეკორაციებს დაამატებდა", რაც შეასრულა კიდეც.

*gazeta.ua*

## ყველაზე ძვირადღირებული ვარსკვლავური განქორწინებები



რა საშინლად ჟღერს სიტყვა „განქორწინება", მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიტყვა არაერთი ადამიანის ცხოვრებაში გაჟღერებულა და ძალიან ბევრი პრობლემაც შეუქმნია.

განქორწინება თითქმის ერთნაირად უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ღარიბზეც და მდიდარზეც, თუმცა ამ უკანასკნელების შემთხვევაში სიტუაცია გაცილებით რთულად არის და ფსიქოლოგიურთან ერთად, ფინანსური ზარალიც საკმაოდ მაღალია.

ამერიკულმა პორტალმა „სელებრიტი კაფემ" ცნობილი ადამიანების ყველაზე ძვირადღირებული განქორწინებების რეიტინგი შეადგინა, რომელსაც აქვე გაგაცნობთ.



აღნიშნული გამოცემის ვერსიით, ყველაზე ძვირადღირებული მაიკლ ჯორდანისა და მისი მეუღლის, ხუანიტას განქორწინებაა. წყვილი თითქმის 17 წელი ცხოვრობდა ერთად, თუმცა 2006 წლის 29 დეკემბერს მათი ოჯახი დაინგრა. ხუანიტამ ექსმეუღლისგან 168 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

რეიტინგის მეორე ადგილზეა მომღერალ ნილ დაიმონდისა და პროდიუსერ მარსია მერფის განქორწინება. 1994 წელს, როცა წყვილი დაშორდა, დაიმონდმა მერფის 150 მილიონი აშშ დოლარი ჩაუთვალა. მარსია მერფი ამაყად ამბობდა, რომ მან თანხიდან „თითოეული პენი დაიმსახურა".

განქორწინებების პირველ სამეულს რეჟისორ სტივენ სპილბერგისა და მსახიობ ემი ირვინგის დუეტი ასრულებს. 1989 წელს ირვინგისგან მსახიობ ქეით კეპშოუსთან წასვლა სპილბერგს 100 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კეპშოუ და სპილბერგი დღემდე ერთად არიან, რეჟისორს ფული ტყუილად ნამდვილად არ დაუხარჯავს.



ყველაზე ძვირადღირებული განქორწინებების სიაში რიგით მეოთხე ჰარისონ ფორდისა და მელისა მეტისონის კავშირის შეწყვეტა გახდა. 21-წლიანი ერთობლივი თანაცხოვრების შემდეგ ფორდი მეტისონს დაშორდა და ყოფილ მეუღლეს 85 მილიონი აშშ დოლარი დაუტოვა.



მსახიობ კევინ კოსტნერს მეუღლესთან, სინტია სილვასთან დაშორება 80 მილიონი დაუჯდა.

რეიტინგში ასევე მოხვდნენ: მომღერალი მადონა და რეჟისორი გაი რიჩი (სხვადასხვა მონაცემით, წყვილის დაშორება 76-დან 92 მილიონამდე დაჯდა), რეჟისორი ჯეიმს ქემერონი და მსახიობი ლინდა ჰემილტონი (50 მილიონი), ლეგენდარული მომღერალი პოლ მაკარტნი და ყოფილი მოდელი ჰიზერ მილსი (48,6 მილიონი), მუსიკოსი ფილ კოლინზი და მოდელი ორიანა სევეი (46,76 მილიონი).

ბოლო ადგილზეა მაიკლ დუგლასისა და დიანდრა ლიუკერის განქორწინება, რომელიც მსახიობს 45 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა.

*glamur.us*



## სარეცხი მანქანები მსოფლიო ოკეანეს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს

ირლანდიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, სარეცხი მანქანები, უფრო ზუსტად კი ბოჭკოების ციცქნა ნაწილაკები, რომლებსაც რეცხვის დროს ქსოვილები გამოყოფს, მსოფლიო ოკეანეს გაცილებით დიდ ზიანს აყენებს, ვიდრე ნაგავი.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხთან ჩატარებულ კვლევაში ირლანდიელების გარდა, მონაწილეობა მიიღეს კანადელმა, ბრიტანელმა და ავსტრალიელმა ეკოლოგებმა.

ერთობლივი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ სინთეტიკური ნივთიერებისგან დამზადებული საშუალო ზომის სამოსი სარეცხ მანქანაში მოხვედრის შემდეგ დაახლოებით 1900 ბოჭკოს კარგავს.

სპეციალისტების თქმით, რეცხვის შედეგად, ეს ბოჭკოები დაუბრკოლებლად ხვდება არხებში, საბოლოო ჯამში კი, მსოფლიო ოკეანეს ერევა და დაბინძურების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. ეკოლოგები დარწმუნებულები არიან, რომ ნარჩენების აღნიშნული სახეობა საშიშია იმითიც, რომ ზღვის ბინადრებს არ შეუძლიათ ბოჭკოების ნაწილაკების გარჩევა და შედეგად, ტოქსინები მათ კუჭში ხვდება.

– რაც უფრო მცირე ზომისაა ნაწილაკები, ზიანი მით მეტია, – ამბობენ სპეციალისტები.

*itar-tass.com*

## მსოფლიოში პირველი სადაზღვევო პოლისი... სპილოსთვის




ამერიკელებზე, ინგლისელებსა და იაპონელებზე ნაკლები სულელური იდეები არც ჩვენს მეზობლებს მოსდით თავში და აგერ, შესანიშნავი დამამტკიცებელი საბუთი: იმისთვის, რათა რუსეთის სახელი რაღაც განსაკუთრებულსა და უპრეცედენტოს დაკავშირებოდა, იქაურებმა მსოფლიოში პირველად დაზღვევა სპილოს გაუკეთეს.



როგორც ირკვევა, სადაზღვევო პოლისის იღბლიანი მფლობელი სპილო მაშა გახდა, რომელსაც ამიერიდან ვეტერინარიულ კლინიკებში მისვლა და მკურნალობა-შემოწმება სრულიად უფასოდ შეუძლია.

ზუსტად რომელმა კომპანიამ დააზღვია მაშა, ან საერთოდაც, საიდან გაჩნდა ასეთი იდეა, არ კონკრეტდება, თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ რუსეთი არის მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელსაც დაზღვეული სპილო ჰყავს.

ტაში, მეგობრებო, ტაში და პუტინ-მედვედევს მოხვდეთ...

უკაცრავად, კინაღამ რაღაც წამოგვცდა...

*strana.ru*



## გერმანელმა მეცნიერებმა „ჭკვიანი სკამი" გამოიგონეს

ხანგრძლივი ჯდომის შედეგად ზურგში გაჩენილი ტკივილის დასამარცხებლად გერმანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს „ჭკვიანი სკამი", რომელიც პატრონს მართლაც უდიდეს დახმარებას აღმოუჩენს.

კერძოდ, როგორც კი სკამი „იგრძნობს", რომ ადამიანი მოუხერხებელ პოზაში ზის, რომელიც მას უსიამოვნებას მოჰგვრის, მაშინვე აძლევს ნიშანს, რომ მდგომარეობა შეიცვალოს.

ამ საინტერესო გამოგონების ავტორთა განმარტებით, სკამის დასაჯდომ ნაწილსა და საზურგეზე დამონტაჟებულია ოთხ-ოთხი ზემგრძნობიარე სენსორი, რომლებიც განსაზღვრავენ, რა პოზა უნდა შეარჩიოს ადამიანმა, რომ სამომავლოდ ტკივილებისგან და ჩივილებისგან არ გაიტანჯოს.

– ინფორმაციას, რომელსაც სკამი ამუშავებს, „ბლუთუსის" მოდულის მეშვეობით ადამიანს კომპიუტერზე ავტომატურად გადაეცემა, – განმარტავენ სკამის მუშაობის პრინციპს გერმანელი გამომგონებლები.

მათივე თქმით, სკამი განკუთვნილია ძირითადად, ადამიანების იმ კატეგორიისთვის, რომელიც მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებს, თუმცა მისი მომხმარებელთა რიგები გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იქნება.

რა ღირს გერმანელების „ჭკვიანი სკამი", ან სად შეიძლება მისი შეძენა, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ ზუსტდება.

*news.yahoo.com*

## მონა ლიზას ნამდვილმა საიდუმლომ მთელი პლანეტა დაშოკა



ასეთი მყვირალა სათაურით გამოეხმაურა ევროპული მედია სიახლეს, რომლის ავტორიც იტალიელი ხელოვნებათმცოდნე სილვანო ვინჩეტია, მონა ლიზას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი.

სილვიო ვინჩეტი ამტკიცებს, რომ და ვინჩის ჯოკონდაში მამაკაცი ჰყავს გამოსახული (შეგახსენებთ, რომ არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, თითქოს და ვინჩის მონა ლიზა ავტოპორტრეტია).

იტალიელი მკვლევარის თქმით, ჯოკონდას თვალებში მან „ელი" და „ესი" დაინახა, რომლებიც „ლეონარდოსა" და „სალაის" სახელების პირველი ასოებია.

ლეონარდო გასაგებია, რაც შეეხება სალაის (ნამდვილი სახელი ჯან ჯაკომო კაპროტი) 20 წლის მანძილზე იგი ლეონარდო და ვინჩის მოსწავლე და თანაშემწე და როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, საყვარელი იყო.

სპეციალისტების აზრით, სალაი ლეონარდოს სხვა ნახატებისთვისაც პოზიორობდა, მაგალითად, „იოანე ნათლისმცემლისთვის". „მონა ლიზას" და „იოანე ნათლისმცემლის" მსგავსებაზე ლუვრის ბევრი დამთვალიერებელი საუბრობს. რაც შეეხება სილვიო ვინჩეტის, ის მიიჩნევს, რომ მონა ლიზას შექმნისას ლეონარდომ, როგორც მინიმუმ, სალაის გარკვეული შტრიხები გამოიყენა.

ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ნახატის შესწავლისთვის ვინჩეტი მის ფოტოვერსიას იყენებს მაღალი გაფართოებით, რომელიც სპეციალური შეკვეთით აქვს დამზადებული. ამასთანავე, ლუვრის თანამშრომლები და სხვა მკვლევარები ამბობენ, რომ მონა ლიზას წლების მანძილზე თავადაც სწავლობენ, მაგრამ დღემდე მის თვალებში არავითარი ასოები არ აღმოუჩენიათ.

*selectornews.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





გემოზე გამომთვრალი მამაკაცი შუაღამისას სასაფლაოზე მოხვდა და შემთხვევით ახლად ამოთხრილ საფლავში ჩავარდა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, გაიყინოს ლამის... გამოჩნდა სასაფლაოს დარაჯი, ხედავს, საფლავში მამაკაცი ზის:

– რაო, გცივა?

– ჰოოო, საშინლად!

– რა გინდოდა, რას ამომძვრალხარ კუბოდან?!

*****

ექიმმა პაციენტს დიაბეტის დიაგნოზი დაუსვა და მკურნალობის დანიშვნის პარალელურად, რჩევების მიცემაც გადაწყვიტა:

– არაფრით შეიძლება ტკბილეული, უარი უნდა თქვათ ცომეულზე, არ მიირთვათ კარტოფილი, ვერმიშელი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. განსაკუთრებით კი მაინც ტკბილს უნდა ერიდოთ!

– და სექსი შეიძლება, ექიმო?

– კი, შეიძლება – მხოლოდ ცოლთან!

– და საყვარელთან?

– არ შეიძლება – ეგ უკვე ძალიან ტკბილია!!!

*****

ორი მეზობელი საუბრობს:

– ბიჭო, გესმოდა წუხელ, როგორ ვაკვნესე ჩემი ცოლი? აი, ეგრე უნდა შეეძლოს ყველა მამაკაცს!

– შენ ის არ გაგიგია, როგორ კვნესის შენი ცოლი, როცა სახლში არ ხარ ხოლმე!..

*****

ქმარი მივლინებაში ცოლის გარეშე წავიდა. ერთი კვირის შემდეგ ცოლს მესიჯი მისწერა:

„ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ შენ მიყვარხარ!“

ცოლის პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია:

„ჰო, ჯერჯერობით შენც აშკარად ყველაზე საუკეთესო ხარ!“

*****



– ნინიკო, ჩვენი ურთიერთობა უკვე გასცდა იმ ზღვარს, როცა მე, როგორც წესიერმა მამაკაცმა შენი ოჯახი უნდა გავიცნო!

– ჰო, მაგრამ არ სურს შენი გაცნობა ჩემს ქმარს და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ინტერნეტიდან პატარა მკერდიანი გოგონების ფოტოებს გააქრობენ



რამდენად გაამართლებს ავსტრალიის სექსის პარტიის (მწვანე კონტინენტზე ასეთი პარტია რომ არსებობს, თუ გახსოვთ, ადრეც არაერთხელ მოგვიყოლია) ეს ინიციატივა, რთული სათქმელია, თუმცა მისი მიზანი კი მართლაც კეთილშობილურია.

კერძოდ, ავსტრალიის სექსის პარტიის ინიციატივით, ვირტუალურ სამყაროში პატარა ზომის მკერდის მქონე გოგონების ფოტოების მიგნება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება, რაც, როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის გავრცელებას შეუშლის ხელს.

იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი აკრძალვა მართლაც დაწესდება, კონტროლის ქვეშ არა მხოლოდ ზოგადად საიტები, არამედ მომხმარებლების პირადი გვერდებიც კი მოექცევა.

იმისთვის, რათა პარტიას დისკრიმინაციასა და სხვისი უფლებების დარღვევაში არ დასდონ ბრალი, კანონმდებლები მხოლოდ ისეთი ფოტოების განადგურებას შეეცდებიან, რომლებზე გამოსახული ადამიანები მათ სრულწლოვანებასთან დაკავშირებით ეჭვებს აღძრავენ, ხოლო თუკი თუნდაც 16 წლის გოგონას „საკმარისად ზრდასრული“ ადამიანის იერი ექნება, მის ფოტოს ხელს არავინ ახლებს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვანთა პორნოგრაფია ინტერნეტში მართლაც არნახულ მასშტაბებს იძენს, რის წინააღმდეგაც სერიოზული ბრძოლაა აუცილებელი, თუმცა ვფიქრობთ, ავსტრალიელების ეს ახალი ინიციატივა დიდი ვერაფერი შვილია, რადგან ისინი საკითხს არასერიოზულად უდგებიან, რადგან 16 წლის ბავშვებისთვის გაშიშვლების უფლების მხოლოდ იმიტომ მინიჭება, რომ სხეული მეტ-ნაკლებად სრულყოფილად აქვთ ჩამოყალიბებული, უაზრობაა!

***vesti.ru***

## სუნთქვის გაგრილება კბილის პასტის გამოყენების გარეშეც შეიძლება?



სუნთქვის გაუმჯობესება-გაგრილება კბილის პასტის გამოყენების გარეშეც რომ ადვილად შეიძლება, ამის შესახებ ჩვენმა წინაპრებმაც შესანიშნავად იცოდნენ, რისთვისაც „ბუნების საჩუქრებს“ იყენებდნენ.

კერძოდ, ფასდაუდებელ დახმარებას პირად ჰიგიენაში ძველ ადამიანებს ოხრახუში, რეჰანი და ქინძი უწევდა, რასაც თანამედროვე სპეციალისტები კამას, ილსა და პიტნის ჩაისაც უმატებენ.

– კამაში, – განმარტავენ ისინი, – აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქლოროფილი, ნივთიერება, რომელიც უსიამოვნო სუნის ყველაზე მძლავრი ლიკვიდატორია. შეიძლება მცენარის როგორც დაღეჭვა, ისე მისგან ნაყენის დამზადება და პირში გამოვლება.



ილის შემთხვევაში, სპეციალისტები ამბობენ, რომ საქმე გვაქვს ევკალიპტის ზეთის შემცველობასთან, რომელიც ძლიერი ანტისეპტიკია და შეუძლია არა მხოლოდ აუტანელი სუნის გაქრობა, არამედ ბაქტერიების განადგურებაც კი.

ასევე საკმაოდ ძლიერი ანტისეპტიკია პიტნის ჩაიც და მას ყველა ზემონახსენები თვისების გარდა, დამატებით ისიც შეუძლია, რომ უმკლავდება ნადების გაჩენას, აფერხებს კბილების შლის პროცესს და ღრძილების ანთების განვითარებასაც.

ცხადია, მცენარეების ეს შესანიშნავი თვისებები მაინც კბილების საგულდაგულოდ წმენდის შემდეგ უნდა გამოიყენოთ, რადგან ჯაგრისის გამოყენებას სპეციალისტები მაინც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

***myjane.ru***

## დაღეჭე და... აღეგზენი! ანუ საღეჭი რეზინი „ვიაგრას“ თვისებებით



სავარაუდოდ, სწორედ ასეთი იქნება, თუ უკვე არ არის, რა თქმა უნდა, ამერიკული კომპანიის სარეკლამო სლოგანი, რომელმაც ადგილობრივი ბაზრისთვის საკმაოდ უჩვეულო თვისებების მქონე საღეჭი რეზინი – „სექსლიტს გუმ“ შექმნა.

როგორც ირკვევა, საღეჭ რეზინს „ვიაგრას“ ეფექტი ჰქონია, რასაც რაც მოჰყვება, ძალიან ადვილი მისახვედრი ამბავია.

კერძოდ, „სექსტილს გუმს“ მამაკაცის სისხლში ტესტოსტერონის დონისა და მისი ლიბიდოს ამაღლება შეძლებია.

ამერიკელების მიერ შექმნილი მართლაც უჩვეულო პროდუქტის შესახებ ცნობილია, რომ მის შემადგენლობაში შედის ვიტამინი „ე“, ჟენშენი და „ფირმის საიდუმლო“, ანუ ნივთიერება, რომელსაც კომპანიაში არ ამხელენ.

ჯერჯერობით, საღეჭი რეზინი მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზეა გამოცდილი და ადამიანებს არ უგემიათ, რადგან შესაბამის ორგანოებს მისი ტესტირება არ ჩაუტარებია, თუმცა კომპანიაში ვარაუდობენ, რომ ახალი პროდუქტის გაყიდვის ნებართვას აუცილებლად მიიღებენ:

– საღეჭი რეზინი ჯანმრთელობის უსაფრთხოა. მეტიც, მას ადამიანებისთვის დიდი ბედნიერების მოტანა შეუძლია, – ამტკიცებენ ამერიკელები.

***mainfun.ru***

## ყველა საზამთრო მალე კვადრატული გახდება?



ამ მართლაც უგემრიელესი ბაღჩეული კულტურის მოყვარულებს არ შეეშინდეთ, რადგან დაგეგმილია მხოლოდ მისი ფორმების და არა გემოს შეცვლა.

შეგახსენებთ, რომ კვადრატული ფორმების მქონე საზამთრო საკმაოდ დიდი ხნის წინ იაპონელებმა გამოიყვანეს, რაც შეეხება მისი დიდი რაოდენობით მოყვანას, როგორც ირკვევა, ამ საკითხზე ზრუნვას პანამელები აპირებენ.

მაინც, რატომ სურთ პანამელებს, რომ საზამთრო კვადრატული გახდეს?

მათი განმარტებით, გაცილებით უფრო ადვილი იქნება პროდუქტის როგორც ტრანსპორტირება, ისე მაცივარში შენახვა.

ცნობილია ისიც, რომ კვადრატულ საზამთროებს პანამელები ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში შეიტანენ და დიდ წარმატებებსაც მიაღწევენ.

რაც მთავარია, კვადრატული საზამთროს ფასი, რომლის წონაც 7 კილოგრამამდე იქნება, პანამელების თქმით, დაახლოებით... 75 აშშ დოლარი იქნება!

კიდევ კარგი, საზამთროს ფორმების შეცვლას ქართველებიც არ აპირებენ, თორემ, ამ უიაფესი და უგემრიელესი პროდუქტით პირის ჩატკბარუნებას, აბა, ვინღა შეძლებდა?!

***factroom.ru***

## რუს სასულიერო პირს განკვეთა სტრიპტიზ-კლუბის კურთხევის გამო ელის



საკმაოდ სერიოზული გამოძახილი და დიდი სკანდალი მოჰყვა რუსეთში, კერძოდ კი ჩელიაბინსკის ოლქში დაფიქსირებულ უპრეცედენტო შემთხვევას, როცა ადგილობრივმა სასულიერო პირმა, მამა ნიკოლაიმ ერთ-ერთი სტრიპტიზ-კლუბი, „სტუდია 74“ ქრისტიანული წესების მიხედვით... აკურთხა.

ამ შემთხვევის გამო, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ არ არის გამორიცხული, მაღალმა სასულიერო იერარქებმა მამა ნიკოლაის განკვეთის გადაწყვეტილება მიიღონ.

ერთადერთი, რაც სკანდალში გახვეულ სასულიერო პირს ამართლებს, ის არის, რომ ის იფიცება – არ ვიცოდი, თუ შენობაში ღამის კლუბი და მეტადრე, სტრიპტიზ-კლუბი უნდა გახსნილიყოო.

მამა ნიკოლაი დარწმუნებულია, რომ ის მოატყუეს.

მართლა მოატყუეს თუ არა მართლმადიდებელი მოძღვარი, ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, თავად კლუბის წევრები კი მომხდარით კმაყოფილები არიან და ამბობენ, რომ სკანდალის შემდეგ მათი სტუმრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

როგორც ხედავთ, თავიანთი შავ-ბნელი საქმეების გასაუმჯობესებლად ადამიანები, სამწუხაროდ, ასეთ გაუგონარ ნაბიჯებსაც დგამენ და არც კი ფიქრობენ, რომ ყველაფერი მხოლოდ გარყვნილებით ან გნებავთ, ბევრი ფულის შოვნით არ სრულდება!

***lenta.ru***

## ავიაკომპანია პისუარებს თვითმფრინავების სალონებში დაამონტაჟებს




– ეს გადაწყვეტილება ტუალეტებთან რიგების თავიდან ასაცილებლად მივიღეთ. იმედია, ჩვენი მგზავრები უფრო კომფორტულად იფრენენ, – აი, დაახლოებით ასე ახსნეს თავიანთი უცნაური სურვილი რამდენიმე გერმანული ავიაკომპანიის მესვეურებმა.

როგორც ირკვევა, პისუარები რამდენიმე ლაინერში, მათ შორის „ა 380“-სა და „ბოინგ 747“-შიც დამონტაჟდება.

წინასწარი ინფორმაციით, პისუარები თვითმფრინავების ეკონომკლასის სალონებში მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გამოჩნდეს.

– გარდა იმისა, რომ შევძლებთ რიგების თავიდან აცილებას, ჩვეულებრივი ტუალეტებისგან განსხვავებით, პისუარი ნაკლებ ტერიტორიას დაიკავებს და ჩვენც უფრო მეტი თავისუფალი ადგილი დაგვრჩება, – ასეთი არგუმენტიც აქვთ გერმანელებს, რომლებსაც როგორც ჩანს, ლაინერებში ლოჯიების მიშენების სურვილიც თუ ამოძრავებთ, თორემ, აბა, თვითმფრინავში „მეტი თავისუფალი ადგილი“ რას ნიშნავს, ერთი გვითხარით?!

და კიდევ ერთი – რამდენად კომფორტულად იგრძნობენ თავს სავარძლებზე მოკალათებული მგზავრები, როცა პისუარიდან „ჩუხჩუხის“ ხმებს გაიგებენ, ჩვენ ვერაფრით მივხვდით და თქვენი არ ვიცით...

***etotupo.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
2. ტელეანძა მოსკოვში
3. რეჟისორი პედრო ...
4. მსახიობი ... კეიჯი
5. საზღვაო კურორტი ბულგარეთ.
6. „თოჯინები იცინიან“. რეზიკოს როლში მერაბ ...
7. ტალღებზე ცურვა ფიცრით
8. მიმართვა ამერიკელი ქალისადმი
9. რამაზ გიორგობიანი ფილმში
10. მსახიობი სესილია ...
11. ანსამბლ „ივერიის“ დამაარსებელი
12. მან შეისწავლა რეფლექსები
13. მე-17ს. ინგლისელი პოლიტიკოსი
14. მუზების მფარველი ღმერთი
15. თაღი
16. სახელმწიფო ევროპაში
17. თამაში 64უჯრიან დაფაზე
18. კომპოზიტორი რევაზ ...
19. პატარა ქვა
20. ჯუჯა კამეჩი
21. ს/ფ „ჭრიჭინა“ ნამორაძის პროფესია
22. რეჟისორი ... იოსელიანი
23. ზღვაოსანი ... და გამა
24. ტორტის საცხი
25. მსახიობი ... კვერენჩხილაძე
26. სისხლნაკლებობა
27. „წყნარი დონი“ მწერალი
28. ვერტიკალურად მოძრავი კაბინა
29. ესპანური ღვინო
30. პაპის რეზიდენცია რომში
31. მსახიობი ... ჰეჩი
32. თეატრის ყველა სპექტაკლი
33. გიორგი სააკაძე-დიდი ...
34. ქედი რუსეთში
35. ბურუსი
36. მხატვარი ანრი ტულუზ-...
37. კამეჩის ტყავის ჭურჭელი
38. ეკლიანი მცენარე
39. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
40. სპაიდერმენი: ადამიანი-...
41. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
42. პოეტი ... პეტეფი
43. გულის დაავადება
44. წამწამის ძირის ანთება
45. კომპოზიტორი ... კარგარეთელი
46. მ/ფ „... 11 მეგობარი“
47. მწნილი
48. ... შანელი
49. მსახიობი ჯონ ...
50. შემინული მიშენება სახლზე
51. თოვლიანი ქარი
52. მევიოლინე ... ისაკაძე
53. კომპოზიტორი ... ტარივერდიევი
54. სკულპტურა, ანუ ...
55. ... შრომა, მერე ხტომა
56. ქარით ატანილი მტვერი
57. დიდი კამკამა ციური სხეული
58. ილუზიონისტი დევიდ ...
59. ომში: ... და ნაღარა
60. საზღვაო კურორტი თურქეთში
61. მწერალი ნოდარ ...
62. მუსიკ. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
63. თვალის ქვედა ნაწილი
64. მსახიობი ნიკოლ ...
65. საგაზეთო ახალი ამბავი
66. მისი დედაქალაქია ამანი
67. სიმდიდრით ცნობილი ლიდიის მეფე
68. ოპერის შესავალი ნაწილი
69. ფანჯრის დასაკიდებელი დეტალი
70. ტაფამწვარი
71. მსახიობი ჰარისონ ...
72. მსახიობი მარი ...
73. ბავშვის დასაშინებელი სიტყვა
74. მწვანე ადგილი უდაბნოში
75. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
76. იუპიტერის მეუღლე
77. კომპოზიტორი ... შოპენი
78. მწყემსის მოსასხამი
79. მსახიობი დრიუ ...
80. ... უდუმაშვილი
81. ჰავა
82. ზღვარი, ანუ ...
83. მოხდენილი ტან-ფეხი
84. წიწვოვანი ხის ჯიში
85. ზღაპრები „... ერთი ღამე“
86. მომღერალი ... ლავინი
87. სახელმწიფო აფრიკაში
88. ჯეიმს კამერონის ფილმი
89. „პერ გიუნტი“ კომპოზიტორი
90. შტატი აშშ-ში
91. ზამთრის ხილი
92. მსახიობი ... გარდნერი
93. მოჭადრაკე ... კუშნირი
94. ხიფათი
95. ძველი ბერძენი, ანუ ...
96. რეჟისორი ... რიჩი
97. პიანისტი ელისო ...
98. მინდვრის ყვავილი
99. რეჟისორი რობერტო ...
100. ბედი
101. გრძნობის გამოხატვა
102. თამაშში: არჩევანი და ...
103. ჰუნების ბელადი
104. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
105. კამეჩის ნაშიერი
106. მხლებლები ქორწილში
107. ბერძ. ანბანის პირველი ასო
108. ზღვის კომბოსტო
109. ... და ვინჩი
110. კაშხალი ეგვიპტეში
111. ვერცხლისწყალი
112. ყურძნის ჯიში
113. რეჟისორი ... მიხალკოვი
114. პერსონა ...-გრატა
115. ცოლის მამა ქმრის-თვის
116. საოპერო პარტია
117. ფრანგული ოქროს მონეტა
118. ცხენებშებმული ტრამვაი
119. ერთიანი ნარდში
120. ბალაშვილების იუმორისტ. დადგმა
121. სათლი, ანუ ...
122. საიუველირო ლითონი
123. კაციჭამია, ანუ ...
124. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
125. სილა
126. პოეტი ... ფოცხიშვილი
127. ვულკანის ჯამის ფორმის ჩაღრმავება
128. ჟან-კლოდ ... დამი
129. მსახიობი ... ფაროუ
130. კ. გამსახურდიას მოთხრობა
131. იაპონური თეატრი
132. პანტომიმის მსახიობი (ზოგადად)
133. ... ასე, ... ისე
134. ფიზიკოსი ... ნიუტონი
135. ნაყოფიანი ხე
136. პულსის ადგილი ხელზე
137. ოპერა „ევგენი ...“
138. მომღერალი ... ოსბორნი
139. თევზის ძვალი



ეს ხე მსოფლიოში ყველაზე მაღალია, იგი 3000 წელს და მეტსაც ცოცხლობს. გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ხეს აქვს საკუთარი სახელი და პასპორტი. მათ შორის გამორჩეულია „გენერალი შერმანი“, რომელიც 3500 წლისაა



ეს კუნძული განთქმულია ეგზოტიკური და ამასთან, გიგანტური მცენარეებით. ერთ-ერთი მათგანია ფოტოზე წარმოდგენილი ამორფოფალუსი, რომელიც 25-35 კილოგრამს იწონის, ფოთლის სიგრძე კი 5 მეტრს აღწევს. ყვავილი გამოსცემს ლაყე კვერცხისა და ლეშის „სასიამოვნო არომატს“. რომელ კუნძულზე იზრდებიან ასეთი მცენარეები

პასუხები: 1. ბალასტი; 2. „ოსტანკინო“; 3. ალმოდოვარი; 4. ნიკოლას; 5. ვარნა; 6. თავაძე; 7. სერფინგი; 8. მემ; 9. „სერენადა“; 10. თაყაიშვილი; 11. ბასილაია; 12. პავლოვი; 13. კრომველი; 14. აპოლონი; 15. არკა; 16. დანია; 17. ჭადრაკი; 18. ლაღიძე; 19. კენჭი; 20. ანოა; 21. არქიტექტორი; 22. ოთარ; 23. ვასკო; 24. კრემი; 25. ზინაიდა; 26. ანემია; 27. შოლოხოვი; 28. ლიფტი; 29. ხერესი; 30. ვატიკანი; 31. ენ; 32. რეპერტუარი; 33. მოურავი; 34. ურალი; 35. ნისლი; 36. ლოტრეკი; 37. რუმბი; 38. კაქტუსი; 39. ლუქსემბურგი; 40. ობობა; 41. ტაიმი; 42. შანდორ; 43. მანკი; 44. ჯიბლიბო; 45. ია; 46. ოუშენის; 47. მარინადი; 48. კოკო; 49. კიუსაკი; 50. ლოჯია; 51. ქარბუქი; 52. ლიანა; 53. მიქაელ; 54. ქანდაკება; 55. ჯერ; 56. ბუქი; 57. ბოლიდი; 58. კოპერფილდი; 59. ბუკი; 60. ანტალია; 61. დუმბაძე; 62. ნოტი; 63. უპე; 64. კიდმანი; 65. ნიუსი; 66. იორდანია; 67. კრეზი; 68. უვერტიურა; 69. ანჯამა; 70. ომლეტი; 71. ფორდი; 72. დიუბუა; 73. ბუა; 74. ოაზისი; 75. იისფერი; 76. იუნონა; 77. ფრედერიკ; 78. ნაბადი; 79. ბერიმორი; 80. ზაალ; 81. კლიმატი; 82. მიჯნა; 83. ტანკერი; 84. ნაძვი; 85. ათას; 86. ავრილ; 87. სენეგალი; 88. „ავატარი“; 89. გრიგი; 90. ვირჯინია; 91. კარალიოკი; 92. ავა; 93. ალა; 94. ფათერაკი; 95. ელინი; 96. გაი; 97. ვირსალაძე; 98. ყაყაჩო; 99. როსელინი; 100. სვე; 101. ემოცია; 102. არადანი; 103. ატილა; 104. ოსირისი; 105. ზაქი; 106. მაყარი; 107. ალფა; 108. ლამინარია; 109. ლეონარდო; 110. ასუანი; 111. სინდიყი; 112. პინო; 113. ნიკიტა; 114. ნონ; 115. სიმამრი; 116. არია; 117. ეკიუ; 118. კონკა; 119. იაქე; 120. „იუმორინა“; 121. ვედრო; 122. ოქრო; 123. კანიბალი; 124. ყირიმი; 125. ქვიშა; 126. მორის; 127. კრატერი; 128. ვან; 129. მია; 130. „ლილ“; 131. ნო; 132. მიმი; 133. ან; 134. ისააკ; 135. ფშატი; 136. მაჯა; 137. ონეგინი; 138. ოზი; 139. ფხა. იკითხება: სეკვოია. სუმატრა.



1. მსახიობი ... პაპანოვი
2. დეკორატიული ბალახი
3. ღრმად ამოჭრილი გულისპირი
4. მეტყველების ორგანო
5. ცოლის დედა
6. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
7. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
8. მსახიობი ვიტორიო ...
9. „ჭირვეულის მორჯულება“ მსახიობი ... მუტი
10. მსახიობი იულ ...
11. პოეტი ... ცვეტაევა
12. მსახიობი ... ბლუმი
13. ჯამის ფორმის სასმისი
14. მსახიობი მარჩელო ...
15. მომღერალი ... ბულბულ ოღლი
16. სიგრძის ძველებ. ერთეული
17. ... მოგივა დავითაო
18. დრამატურგი ჰენრიკ ...
19. რეჟისორი ... დოლიძე
20. მომღერალი როზი ...
21. ადმირალი ჰორაციო ...
22. შტატი აშშ-ში
23. შენობა კალათბურთისათვის
24. კლდიაშვილი. „... ბედნიერება“
25. მდინარე გერმანიაში
26. ნიშნავს ცივს
27. გაუშლელი ფოთოლი
28. მწერალი ტომას ... რიდი
29. კუნძული, რომელზეც ალექსანდრიის შუქურა იყო აღმართული
30. სახელმწიფო აზიაში
31. ქალაქი გერმანიაში
32. ქვეწარმავალი, ანუ ...
33. პოეტი მუხრან ...
34. კონტინენტი სამხ. პოლუსზე
35. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი
36. „სირანო დე ბერჟერაკი“ ავტორი
37. მწერალი ... ლომოური
38. მსახიობი ... შენგელაია
39. რუკების კრებული
40. მემარცხენე ადამიანი
41. მწერალი რობერტ ლუის ...
42. ნაჭრის ჭურჭელი
43. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
44. ატმოსფერული აირი
45. ზუსტი მიბაძვა
46. რეპტილია
47. იაპონური ჭიდაობა
48. სახელმწიფო აფრიკაში
49. რევოლუციური მუშათა კლასი
50. მსახიობი ანუკ ...
51. მხ/ფ „ბორნის ...“
52. გიტარის მავთული
53. მწერალი თეოდორ ...
54. ყინულის მთა ოკეანეში
55. მტაცებელი ფრინველი
56. პოეტი ... ბარტო
57. მსახიობი ბრედ ...
58. შტატი აშშ-ში
59. დოჩანაშვილი. „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ...“
60. ორგანო, რომელიც ნახევარსფეროებისგან შედგება
61. ესკიმოსების ნავი ვეშაპებზე სანადიროდ
62. ღმერთ ოდინის სასახლე
63. ვერტიკალური ანუ ... ხაზი
64. მსახიობი ... პაჩინო
65. პოეტი ვლადიმერ ...
66. ოსური ცეკვა
67. კომპოზიტორი ... ბალანჩივაძე
68. ხრიკი, ფანდი
69. ამოსახველებელი ნაყენი
70. ტროპიკული დეკორატ. მცენარე
71. წანაზარდი კაქტუსზე
72. თეთრი თიხის კერამიკა
73. მსახიობი ... კრეიგი
74. უნგრელი კომპოზიტორი
75. ყვავილი
76. მისი დედაქალაქია თეირანი
77. მოხარშული ზეთი
78. მწერალი ჰაინრიხ ...
79. მსახიობი ... ღაღანიძე
80. მწვანილების შეკვრა
81. პოლიტიკოსი ნელსონ ...
82. ნადუღის სანელებელი
83. აგიტაციური ვიდეორგოლი
84. მსახ. ... ფრეინდლიხი
85. მომღერალი ... ვაიკულე
86. ქირურგიული დანა
87. რეჟისორი ... უელსი
88. ორგანული გამხსნელი
89. ჟელატინიანი ტკბილეული
90. მსახიობი ... მონტანი
91. მსახიობი ... წულაძე
92. კათოლიკური საგალობელი
93. მწნილი
94. სასწორის ჯამი
95. ცეკვა მულენრუჟში
96. მეფის ვაჟი
97. რეჟისორი სანდრო ...
98. მატყუარა, გაიძვერა
99. გემის დიდი ბადე
100. მსახიობი ... დე ფიუნესი
101. დაბა ბაკურიანთან
102. ფიგურული ქსოვის ტექნიკა
103. მსახიობი ... ტაკერი
104. დოქი, ანუ ...
105. მდინარე ორინოკოს ველი
106. აეროპორტი პარიზში
107. თაღი
108. ნადირობის ქალღმერთი
109. ტენორი ... ლანცა
110. სიმინდის ყვავი-ლედი
111. კურორტი ბაღდათის რაიონში
112. მსახიობი ... გარსია
113. მსახიობი ვივიენ ...
114. მამაკაცი ძიძა
115. ნივრების ასხმა
116. ყაზახეთის დედაქალაქი
117. თბილისის უბანი
118. ნიკო ფიროსმანაშვილი, იგივე ...
119. გრამატიკული დრო
120. საბრძოლო ჯავშან მანქანა
121. ქორმა ... წაიღო
122. პოლიტიკოსი ინდირა ...
123. ინერტული აირი
124. უკრაინული ავტომობილი
125. ნაცია
126. შოკოლადის ხის ნაყოფი
127. „... ჭკუისაგან“
128. ... ჰო, ... არა
129. დადებითი ელექტროდი
130. ესპანური ვერცხლის მონეტა
131. გამის ნოტი
132. მწვადის შესაწვავი ღუმელი
133. მსახიობი ... ბერიმორი
134. ხის კვირტიანი ტოტი
135. ... გათეთრდების ყორანი
136. მსახიობი ... რურკი
137. ყვავილი
138. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
139. ნოტ დოს ძველი სახელწ.

პასუხები: 1. ანატოლი; 2. კოინდარი; 3. დეკოლტე; 4. ენა; 5. სიდედრი; 6. კოსტა-რიკა; 7. ნეორეალიზმი; 8. გასმანი; 9. ორნელა; 10. ბრინერი; 11. მარინე; 12. ორლანდო; 13. ფიალა; 14. მასტროიანი; 15. ფოლად; 16. ადლი; 17. რაც; 18. იბსენი; 22. ოკლაჰომა; 23. დარბაზი; 24. ირინეს; 25. რაინი; 26. კრიო; 27. კვირტი; 28. მაინ; 29. ფაროსი; 30. პაკისტანი; 31. ლაიფციგი; 32. გველი; 33. მაჭავარიანი; 34. ანტარქტიდა; 35. აკვალანგი; 36. როსტანი; 37. ნიკო; 38. არიადნა; 39. ატლასი; 40. ცაცია; 41. სტივენსონი; 42. ტომარა; 43. გაბროვო; 44. ჰაერი; 45. იმიტაცია; 46. კუ; 47. სუმო; 48. სომალი; 49. პროლეტარიატი; 50. ემე; 51. იდენტიფიკაცია; 52. სიმი; 53. დრაიზერი; 54. აისბერგი; 55. ქორი; 56. აგნია; 57. პიტი; 58. მინესოტა; 59. ლიტერატურა; 60. ტვინი; 61. უმიაკი; 62. ვალჰალა; 63. პერპენდიკულარული; 64. ალ; 65. მაიაკოვსკი; 66. სიმდი; 67. მელიტონ; 68. ოინი; 69. ალთე; 70. დრაცენა; 71. ეკალი; 72. ფაიფური; 73. დენიელ; 74. ლისტი; 75. იასამანი; 76. ირანი; 77. ოლიფა; 78. ჰაინე; 79. ჯემალ; 80. კონა; 81. მანდელა; 82. პიტნა; 83. რეკლამა; 84. ალისა; 85. ლაიმა; 86. ლანცეტი; 87. ორსონ; 88. სკიპიდარი; 89. მარმელადი; 90. ივ; 91. ბაადურ; 92. მესა; 93. მარინადი; 94. პინა; 95. კანკანი; 96. უფლისწული; 97. ახმეტელი; 98. ფლიდი; 99. ტრალი; 100. ლუი; 101; ცემი; 102. მაკრამე; 103. კრის; 104. ხელადა; 105. ლიანოსი; 106. ორლი; 107. არკა; 108. დიანა; 109. მარიო; 110. ტარო; 111. საირმე; 112. ენდი; 113. ლი; 114. ლალა; 115. გალა; 116. ასტანა; 117. ვაკე; 118. ნიკალა; 119. აწმყო; 120. ტანკი; 121. წიწილა; 122. განდი; 123. არგონი; 124. „ტავრია“; 125. ერი; 126. კაკაო; 127. ვაი; 128. ან; 129. ანოდი; 130. პესო; 131. სი; 132. მაყალი; 133. დრიუ; 134. ნეკერი; 135. არ; 136. მიკი; 137. პიონი; 138. სირ; 139. უტ. იკითხება: ტანგო.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

შპს „გლობალური ტექნოლოგიების“ ადმინისტრაცია თანაუგრძნობს ბატონ ჯიმშერ ახობაძეს დის

**ნანული ახობაძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## დანტისტთან 68 დოლარის დავალიანების გამო, ამერიკელმა დიასახლისმა... სახლი დაკარგა!

მართალი გამოდგა – ნისია სხვისიაო, რომ ამბობენ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მაგალითად, მომსახურების ვალად მიღება კიდევ უფრო მეტად სახიფათო ყოფილა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და თუ რატომ, ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ:



დანტისტისთვის 68 დოლარის გადაუხდელობის გამო, არიზონას შტატის ქალაქ გლენდეილის მკვიდრს სასამართლომ 51 ათას აშშ დოლარად შეფასებული სახლი ჩამოართვა!

როგორც ირკვევა, ვინმე კაპრი რამოსს სტომატოლოგთან მცირეწლოვანი შვილი მიუყვანია და მისთვის კბილის დაპლომბვა უთხოვია, რაც სპეციალისტმა პირნათლად შეასრულა და საფასურიც მოითხოვა. კაპრი რამოსმა აღმოაჩინა, რომ დანტისტისთვის მისაცემ თანხას 68 დოლარი აკლდა და შეჰპირდა, რომ ვალს უახლოეს დღეებში გადაუხდიდა, თუმცა მას შემდეგ უკვე... 15 წელი გავიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, დანტისტმა სასამართლოს რამდენჯერმე მიმართა, რის შედეგადაც კაპრი რამოსის ვალი ყოველ ჯერზე იზრდებოდა, რადგან პირობის შეუსრულებლობის გამო მას ახალ-ახალ ჯარიმებს აწერდნენ.

საბოლოო ჯამში, ჯარიმის რაოდენობამ 50 ათას აშშ დოლარს მიაღწია, რაც როგორც თავშიც გითხარით, წინდაუხედავ ამერიკელს სახლის დაკარგვად დაუჯდა.

*mainfun.ru*

## ჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში მიანმელი საპატარძლოების კონტრაბანდა არნახულ მასშტაბებს იძენს



არც აქციზური მარკა და არც კოლოფებში გადანაწილება არ სჭირდებათ კონტრაბანდისტებს, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში მიანმელ საპატარძლოებს, თურმე, 5500 აშშ დოლარად „ეზიდებიან“.

ჩინელი სამართალდამცველების ინფორმაციით, მხოლოდ 2013 წლის განმავლობაში, ჩინეთში მცხოვრები მარტოხელა მამაკაცებისთვის მიანმადან 270-მდე სექსუალური მონის ჩამოყვანა მოხდა, თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემები გახლავთ, აი, არაოფიციალური ციფრი კი ბევრად უფრო მაღალია.

პოლიციამ რამდენიმე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების აყვანა უკვე შეძლო, რომლებიც განმარტავენ, რომ გოგონების უმეტესობას გაჭირვებაში მცხოვრები მიანმელები თავადვე თანხმდებიან, თუმცა არის მათი გატაცების შემთხვევებიც.

სიტუაციას ყველაზე მეტად ის ამძიმებს, რომ მიანმელი მშობლები შვილების დაკარგვის შესახებ ინფორმაციას პოლიციას არ აწვდიან.

რამდენად შეძლებენ წვრილთვალება სამართალდამცველები „ლეკიანობის“ აღმოფხვრას, რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, მათ მხოლოდ უმნიშვნელო წარმატებას მიაღწიეს.

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**25 ივლისი:** ბედს ნუ გამოცდით. ახალი ამბების არარსებობაც კარგ ამბად ითვლება. დაფიქრდით, მართლა გსურთ ცვლილებები?

**კურო 22.04-21.05**

**25 ივლისი:** შეიძლება წვრილმანებს ისე ჩაუღრმავდეთ, რომ რაღაცა მნიშვნელოვანი მთლიანობაში ვერ დაინახოთ. შეჩერდით ცოტა ხნით და გაიაზრეთ, რას ხედავთ მსხვილი პლანით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**25 ივლისი:** დღეს აკურატული და მობილიზებული იქნებით. ისე არაფერი იძლევა სტიმულს, როგორც იმის შეგნება, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და ანგარიშის ჩაბარება არავისთან გიწევთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**25 ივლისი:** თუ გარშემომყოფებმა პატიოსანი თამაშის წესები დაივიწყეს, საუკეთესო გამოსავალია იქაურობას ცოტა ხნით მოშორდეთ და იმედი იქონიოთ, აზრზე მოვლენ.

**ლომი 23.07-22.08**

**25 ივლისი:** თქვენი ამოცანა გარშემო მყოფი ადამიანების გამხიარულება იქნება. ბევრ ადამიანს დააყენებთ კარგ განწყობაზე.

**ქალწული 23.08-22.09**

**25 ივლისი:** დღეს ძალიან ბევრ ინფორმაციას მიიღებთ და ინტუიცია დაგეხმარებათ, რომ მათში გაერკვიოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**25 ივლისი:** დღეს საფუძვლიანი დაბრკოლების დაძლევა მოგიწევთ. ამას ვერსად გაექცევით, გარდაუვალია.

**მორიელი 23.10-21.11**

**25 ივლისი:** რაც უფრო ჩაუღრმავდებით თქვენთვის საინტერესო საკითხის წვრილმანებს, მით უფრო გაგიჭირდებათ მისი გააზრება. შეგიძლიათ ინტუიციას მიენდოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**25 ივლისი:** ყური მიუგდეთ სხვათა ნალაპარაკევს, თუნდაც ისინი თქვენ არ გისმენდნენ. შესაძლოა, მათი ნათქვამი უფრო საინტერესოა.

**თხის რქა 22.12-19.01**

**25 ივლისი:** შეიძლება ნათელი გონება ძლიერმა გრძნობებმა დაგიბნელოთ. ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა არ არის საჭირო.

**მერწყული 20.01-18.02**

**25 ივლისი:** მზად იქნებით გმირობისთვის, მთების გადაბრუნება მოგინდებათ. ძალიან სამწუხარო იქნება, თუკი ამ ენერგიას ფუჭად დახარჯავთ.

**თევზები 19.02-20.03**

**25 ივლისი:** დღეს ინტუიციის ნდობა არ ღირს. არც ცდუნებას უნდა აჰყვეთ. გაუაზრებელ მოქმედებებზე სათანადო პასუხს მიიღებთ.

## ნარკოდილერს პატიმრობის ვადა ზედმეტად დიდი გაბარიტების გამო შეუმცირეს



თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან იშვიათია, როცა ზედმეტ წონას ადამიანისთვის რაიმე სასიკეთო შედეგები მოაქვს, თუმცა იშვიათი გამონაკლისები ყოფილა და თანაც, ძალიან საინტერესო.

ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, ციხეში ნარკოტიკების გაყიდვისთვის



ჩაყუდებული ადამიანი შეწყალებას საერთოდაც არ იმსახურებს, მაგრამ განსხვავებულ აზრზე დამდგარან კანადელი სამართალდამცველები, რომლებმაც პატიმრობის ვადა ნარკოდილერს ზედმეტად დიდი გაბარიტების გამო შეუმცირეს.

როგორც ირკვევა, კანადელებს ვინმე მაიკლ ლაპოინტე, მეტსახელად „დიდი მაიკი“ ისე შეეცოდათ, რომ მისი პატიმრობის ვადა 6 თვემდე დაიყვანეს.

კანადური მედიის ინფორმაციით, ლაპოინტეს წონა 215 კილოგრამი ყოფილა და ის ციხის პირობებს, მით უფრო კი, კვებას, ვერაფრით ეგუებოდა.

მსუქანი ნარკოდილერის განთავისუფლებას კანადაში შემდეგნაირად ხსნიან:

– პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე საგრძნობლად უარესდება. სამწუხაროდ, მისი გაბარიტების ადამიანისთვის ციხეში პირობები არ არის. ამდენად, გადაწყდა პატიმრობის ვადა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო...

და ის არაფერია, „დიდი მაიკის“ „ტავარის“ გამო უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა რომ საერთოდ ისპობა?!

რამდენწლიანი სასჯელი უნდა მოეხადა მაიკლ ლაპოინტეს, არ კონკრეტდება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის ციხეში უკვე 20 თვეა, ზის.

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ერთმა ბებომ სუპერმარკეტში 10 ქილა კატის საკვები შეარჩია და სალაროსთან მივიდა. მოლარე:

– ამხელა რაოდენობით კატის საკვების გაყიდვა არ შეიძლება, თუ არ დაამტკიცებთ, რომ კატა მართლა გყავთ!..

წავიდა ბებო სახლში, მიუყვანა მოლარეს კატა, ყველაფერი მოგვარდა. მეორე დღეს მან 10 შეფუთვა ძაღლის საკვები შეარჩია. ისტორია ისევ განმეორდა – საწყალი ხვატსა და პაპანაქებაში სახლში ძლივს მიჩანჩალდა, მოლარეს ძაღლიც მიუყვანა და საკვების შეძენის უფლება მიიღო.

მესამე დღეს სუპერმარკეტში შესული ბებო პირდაპირ მოლარესთან მივიდა და კარგად შეფუთული მოზრდილი ქილა გაუწოდა:

– ჩაყავი, შვილო, ხელი შიგნით, – სთხოვა. რამდენიმეწამიანი ყოყმანის შემდეგ ქილაში ხელი მართლა ჩაყო და:

– ბებო, ეჭვი მაქვს, ამ ქილაში განავალია!!!

– აბსოლუტურად მართალი ხარ, შვილო – 10 შეკვრა ტუალეტის ქაღალდი მინდა და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: ააკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.55